# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 10 დეკემბერი, 2013 წელი.

№238 (7366)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## სააკაშვილის ბედი კეზერაშვილის პირის დალებაზეა დამოკიდებული ④



კეზერაშვილის საქმე იმდენად მძიმეა, რომ საფრანგეთის პროკურატურამ მას გრიფი „საიდუმლო“ დაადო, როცა ქვეყნის მართლმსაჯულებისათვის უიშვიათესი შემთხვევაა

## ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების თაობაზე ③

## „21 000 ადამიანი ისმინება და სმარტფონის მქონე მოქალაქეები კონტროლდებიან“ ②

## თბილისი შეეცდება, უკრაინის მოვლენები ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისი დაახლოებისთვის გამოიყენოს ⑧

## ცვლილებები საქართველოს შრომის კოდექსში ⑨

## ჯუჯა პარტიათა რენესანსი საქართველოში ⑦

## ამორალური სტატისტიკა?! ⑥




## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ინფორმაცია

## პარლამენტის კომიტეტების სხდომები ქუთაისში გაიმართება

— პარლამენტის თავმჯდომარე და დეპუტატები ქუთაისამდე „როგორმე ჩააღწევენ“, — ამის შესახებ დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტებს ვილნიუსის სამიტის შემაჯამებელ კონფერენციაზე განუცხადა.

მისი თქმით, მეტეოროლოგიური პირობები არ უმჯობესდება, თუმცა, პარლამენტი ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების ვადებში შეზღუდულია, მათ შორის, ბიუჯეტის განხილვის მიმართულებით.

— ჩვენ განვიხილეთ თბილისში კომიტეტების სხდომების ჩატარების შესაძლებლობა. თუმცა, ამ საკითხს აქვს თავისი მინუსები, რადგან მასალები და შესაბამისი პერსონალი ქუთაისშია. გარდა ამისა, ჩვენ



გვაქვს ფლიგელი იუსტიციის სახლში, თუმცა, იქ არსებული პრობლემების შესახებაც მოგეხსენებათ. გარდა ამისა, ზეგ, ქუთაისში პლენარული სხდომა მაინც უნდა ჩატარდეს, შესაბამისად, გადაწყდა, რომ ყველაფერი ისე დარჩება, როგორც არის და კომიტეტების სხდომები დანიშნულ დროს და ადგილზე ჩატარდება, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

## იუსტიცია ჩამონგრეულ იუსტიციის სახლში

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, სანამ იუსტიციის სახლის მოქალაქეთა მისაღები დარბაზი საფრთხის შემცველი არ იქნება, მანამ ამ დარბაზის გახსნა არ მოხდება.

წულუკიანის განმარტებით, თვითონ შენობის საძირკველს და კონსტრუქციას არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

— ამჟამად თანამშრომლები იქ უკვე მუშაობენ. იქ არის განლაგებული ჩემი და ჩემი ერთ-ერთი მოადგილის ოფისები დროებით. რაც შეეხება სახურავს, სახურავის ერთ ნაწილს, რომელიც არის კონსტრუქციული ნაწილი, აქვს ხარვეზები, თუმცა, უშუალო საფრთხე ამ ხარვეზებითაც შეიძლება არ გამომდინარეობდეს. საფრთხე გამომდინარეობს დღესდღეობით იმ შეფუთვისგან, რომლითაც არის შეფუთული სახურავის ეს კონსტრუქცია. სანამ არ დავრწმუნდები, რომ მომავალში არ ჩამოცვივდება სახურავიდან ან მოქალაქეებს ან რომელიმე ჩემს თანამშრომელს, რომელიც მოქალაქეთა მისაღებ დარბაზში იმყოფება, საფრთხეს არ მოუტანს, მანამ ამ დარბაზის გახსნა არ მოხდება, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისივე თქმით, ამასობაში ორი დროებითი ცენტრი აგრძელებს საბუთების მიღებას, თამარ მეფის გამზირზე და აღსრულების ეროვნულ ბიუროში. მინისტრის განმარტებით, მზა დოკუმენტების მიღება გრძელდება დედაენის ბაღში.

ამასთან, თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ ეს სახურავი მათ ერგოთ მემკვიდრეობით.

— ჩემთვის პირადად, მშენებლების, აშენების ინიციატორების და განმახორციელებლების მიმართ არაერთი კითხვის ნიშანი არსებობს და ამ კითხვებზე დღეს უნდა გაეცეს პასუხი, — აღნიშნა თეა წულუკიანმა.

## ეკონომიკის წინსვლისთვის დატვირთული მუშაობა მოგვიწევს

ჩვენ გვექნება ძალიან დატვირთული 9-10 თვე, რომლის განმავლობაშიც დიდი სამუშაო უნდა შევასრულოთ, — ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ვილნიუსის სამიტის შემაჯამებელ კონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა.

კვირიკაშვილის განმარტებით, პრემიერმა შექმნა ეკონომიკური საბჭო, რომელთან ერთადაც იმუშავებს საკოორდინაციო ჯგუფი. როგორც ეკონომიკის მინისტრმა აღნიშნა, ეს ჯგუფი გაუწევს ორგანიზებას გზამკვლევის აღსრულების ნაწილს.

ეკონომიკის მინისტრის განმარტებით, საუბარია საქონლის, მომსახურების და კაპიტალის გადაადგილების ლიბერალიზაციაზე, რასაც საქართველოს ეკონომიკაზე ძალიან დადებითი შედეგი ექნება.

— საუბარია იმაზე, რომ მოხდეს კომპეტენციის აღიარება და ქართველმა პროფესიონალებმა თავისუფლად მიაწოდონ სერვისები ევროპულ ქვეყნებს. ასევე საუბარია იმაზე, რომ ევროპულ ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა მიიღონ ქართულმა კომპანიებმა და შეძლონ საქონლისა და სერვისების შეთავაზება. ჩვენ გველოდება მრავლისმომცველი და ტექნიკურად დატვირთული სამუშაო, რომელსაც აუცილებლად წარმატებით დავასრულებთ, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

## ადვოკატთა ასოციაციაში არჩევნები გამჭვირვალედ ჩატარდა

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, ადვოკატთა ასოციაციაში არჩევნები თავისუფალ გარემოში, კენჭისყრის პროცედურა კი აბსოლუტური გამჭვირვალობით ჩატარდა.

ორგანიზაციის ხელმძღვანელის არჩილ კაიკაციშვილის შეფასებით, საერთო კრების გადაწყვეტილება და ასოციაციის სხვადასხვა მმართველ ორგანოებში ზაზა ხატიაშვილის და კოალიციური გუნდის დამაჯერებელი გამარჯვება, ადვოკატთა კორპუსის წინაშე, 4 წლის მანძილზე, ახალ რეალობასა და შესაძლებლობას აჩენს. მისი თქმით, არსებობს მაღალი მოლოდინი, გაძლიერდეს ადვოკატთა კორპუსი, შეიქმნას მისი საქმიანობისთვის მყარი საკანონმდებლო გარანტიები, საქმიანობა დაეფუძნოს ეფექტურ და გამჭვირვალე მმართველობის სისტემას.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ზაზა ხატიაშვილს გულითადად მიულოცავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ არჩევას, ხოლო დავით ასათიანს — ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ხელმძღვანელის პოზიციაზე გამოცხადებულ მაღალ ნდობას. ორგანიზაცია მიუთითებს, ასოციაციის საერთო კრებამ არჩევანი ორ ძლიერ კანდიდატსა და მათ განსხვავებულ საარჩევნო პროგრამებს შორის გააკეთა, თუმცა, ვფიქრობთ, რომ არჩევნებს, ერთ-ერთი ძლიერი კანდიდატის მამუკა მდინარაძისა და მისი ალტერნატიული გუნდის სახით, დამარცხებული არ ჰყავს. მამუკა მდინარაძემ, წინასაარჩევნო და საარჩევნო დღეს აჩვენა პროფესიული და პიროვნული ღირსების მაგალითი, კვალიფიციური და ზომიერი პაექრობით, ადვოკატთა კორპუსს მიუთითა სტანდარტებზე, რომლითაც ევროპის მრავალი ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციის საარჩევნო კამპანიები ხასიათდება“, — განაცხადა კაიკაციშვილმა.

ინტერპრესი

კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

● თამარ კორძაიასა და თეა თუთბერიძეს შორის 6 განსხვავება მითხარით და სახინკლეს ვკისრულობ.

● ახალი თვითმმართველობის კოდექსი თუ დამტკიცდება ძალიან ცუდ შედეგებს მოვიმკით, ძალიან! ხვალ და ზეგ არა, მარა ამ „გენიალური“ ინიციატივის შედეგად აუცილებლად დავქუცმაცდებით და ახალ კონფლიქტურ კერებს შევქმნით... ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტის თანახმად, მერები და გამგებლები აირჩევიან პირდაპირი წესით, გაიზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა, გუბერნატორების ადმინისტრაციებთან შეიქმნება ადგილობრივი საკრებულოების კოლეგიური საბჭოები, სამოქალაქო ჩართულობის მიზნით შეიქმნება საზოგადოებრივი საბჭოები და სხვა, ანუ ვიღებთ ჩვეულებრივ ავტონომიებს (?!) კანონპროექტი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ და ფინანსურ საფუძვლებს, თვითმმართველობის ორგანოების არჩევითობას, მათი საქმიანობის წესს და მათ საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის პრინციპებს. კომპეტენციების დეცენტრალიზაციასთან ერთად, მოხდება ფისკალური დეცენტრალიზაცია! როგორც გავიგე, თითმმართველობის მოდელზე გადავა ყველა ის ქალაქი თუ დასახლებული პუნქტი, სადაც 15 000 მოსახლეზე მეტია (?!)... რა უბედურებაა ეს? თქვენ ხო არ გაკლიათ მართლა? როდის გაეხსნებათ მადა ამ ავტონომიების ახალგამოჩეკილ ფარაონებს და მართლა დეცენტრალიზდებიან (ანუ დამოუკიდებლობას მოითხოვენ), მაგას ველოდოთ?




● თოვლის ბაბუასაგან წერილი მომივიდა, დაგასწარი, შენიჭირიმე, კრიზისი მაქვს, საჩუქრები არ მოითხოვოო.

● შინაური ცხოველების დაზღვევა, სამი „მუშკეტერი“ კარადაში, უფულო, უმუშევარ კაცს მოუწოდებენ რესოციალიზაცია ინტერნეტში მოძებნოს, კანონი თვითმმართველობაზე, რესპუბლიკელები.

● ჩხატარაშვილი რაზე დაიჭირეს, ბანანი გაფცქვნა უკუღმა?

● შეაპარეთ ვინმემ რო პრეზიდენტი აღარ არი!

● მარხვაზე ვარ, მარტო სოროს პოსტებს ვალაიქებ!

● დევიჯერო მოადგილე ჩხატარაშვილი ჩადიოდა დანაშაულობებს და თავად პრაკურორი სულიწმინდაა? ჩემამდე მართლა არ დადის. მურტალ ზონდერავა, რანაირად უნდა დაეთრეოდეს გარეთ თავისუფლად?

● ადრე, ანუ სააკაშვილის რეჟიმის დროს, აშინებდნენ და ეშინოდათ... ახლა, ამბობენ, რომ არავინ აშინებთ, მაგრამ ინერციით ეშინიათ...

● ზოგიერთი, ისეთი მხდალი მედროვე დასტირის ნელსონ მანდელას, საკუთარი ხველების ხმაზე შიშით რომ კანკალებს. ერთი ქართველი მანდელა სჭირდება ამ მონუსხულ საზოგადოებას...

● ლენინმა ახლახან უკრაინა დატოვა. როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს!

● მიხეილ სააკაშვილი უკრაინიდან პირდაპირ სამოქალაქო სექტორში მიდის...

● კიევში ლენინის ნაცვლად, ლენონის ძეგლს დგამენ!

● სანდო წყაროდან ვიცი, რომ 7 ნოემბერს „განთავისუფლებულ რუსთაველზე“ გასვლის წინ ვანო მერაბიშვილმა საკუთარი ხელით გაიხვრიტა პირბადე — მეც ის გაზი უნდა ჩავისუნთქო, რითიც ჩემი ხალხი სუნთქავდაო... — განაცხადა გოგიტა გაბაიძემ.

● ოოო, კრიზისი კი არა, კაცო, ამათ დაავიწყდათ, რომ ახალი წლის წინ ფასებიც იწევს მაღლა და დოლარის კურსიც. ვერ არიან მატორზე რაა! მომიშალა ნერვები ამ კურიერმა. ღირსიც ვარ, რას მივჩერებოდი ნეტა? დურა ია, დურააა ...

● თემურ ზაქრაძე, უკრაინული წარმოშობის ანალიტიკოსი ყოფილა. რას არ გაიგებ კაცი. ტყუილად არ უთქვამთ, სწავლა სიბერემდეო!

● ვაცხადებ უვადო გაყინვას, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით!!!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

სკანდალური განცხადება

# „21 000 ადამიანი ისმინება და სმარტფონის მქონე მოქალაქეები კონტროლდებიან“

**ასეთ სკანდალურ განცხადებას აკეთებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ხელმძღვანელი ეკა გიგაური. მისი თქმით, მობილური ოპერატორების ოფისებში ე.წ. შავი ყუთებია დამონტაჟებული, რომლის მეშვეობითაც შსს-ს ორგანოებს საშუალება აქვთ, მოუსმინონ 21 ათას აბონენტს და მოსმენის პარალელურად, სმარტფონის მქონე მოქალაქეები აკონტროლონ.**

თუ საიდან ფლობს აღნიშნულ ინფორმაციას, ამის შესახებ ეკა გიგაური აცხადებს, რომ არჩევნების შემდეგ მათ დაუკავშირდნენ მობილური ოპერატორები, რომლებიც ღიად საუბრობდნენ იმაზე, რომ მათ ოფისებში მოსმენების მიზნით არსებობს სპეციალური საშუალებები, ე.წ. შავი ყუთები. უფრო მეტიც, არა მხოლოდ უსმენენ ადამიანებს, არამედ იღებენ ინფორმაციას ამ პიროვნებების სმს-თან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანს აქვს სმარტფონი და იგი ინტერნეტშია ჩართული. ეს ნიშნავს, რომ შესაბამის ორგანოებს საშუალება აქვთ, გაიგონ, რომელ ინტერნეტსაიტებზე შედის ადამიანი, ასევე, მისი ელექტრონული ფოსტის გაკონტროლების საშუალება ეძლევათ და, გარდა ამისა, მათთვის ცნობილია, ტერიტორიულად სად იმყოფება ადამიანი.

ეკა გიგაურის თქმით, არჩევნების შემდეგ მობილური ოპერატორები სთხოვდნენ სამართალდამცავ ორგანოებს, მათი ურთიერთობა სამართლებრივ ჩარჩოებში ჩაესვათ, თუმცა ამაზე თანხმობა ვერ მიიღეს. ამიტომაც საქმეში „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენლები ჩაერთვნენ.



სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე მიიჩნევს, რომ მოსმენები აუცილებელია და ის ნებისმიერი ქვეყნის არსენალში შედის კრიმინალთან ბრძოლის, ანტიტერორისტული და სადაზვერვო ღონისძიებებისთვის. უბრალოდ, მოსმენების იურიდიულ ფორმას გააჩნია, რამდენად კანონიერების ფარგლებშია და პროცედურები რამდენად არის დაცული. ამიტომ უნდა დაზუსტდეს, მოსმენები სადაზვერვო მიზნით ხორციელდება თუ პოლიტიკური მიზნით. მხოლოდ ამ უკანასკნელის შემთხვევაში, შეიძლება პროტესტის გამოხატვა ან საპარლამენტო კომისიის შექმნა, რომელიც გაარკვევს, თუ რა ხდება ამ სფეროში.

„არა მარტო სმარტფონები, არამედ თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას, საინფორმაციო ბაზები შეიქმნას და გამოთხოვილ იქნას ის ინფორმაცია იმ პირის საუბრების შესახებ, რომელიც საინტერესო გახდება. რაც შეეხება „შავ ყუთებს“, არ მესმის, „შავი ყუთი“ რას ნიშნავს, უბრალოდ, ხდება ინფორმაციის დიგიტალიზება და დიგიტალიზებული ინფორმაცია ინახება ბაზებში. 21 ათასი ადამიანის ერთდროულად მოსმენა ცოტა ძნელია, თუ არ არის პროგრამულ მოსმენაზე საუბარი, სადაც რაიმე ტიპის სიტყვა ან სიტყვათა წყობა იწვევს დაინტერესებას და ხდება ამ კონკრეტული საუბრის მოგვიანებით გაშიფვრა, თორემ 21 ათასი ძალიან დიდი ციფრია. ამდენი არც პოლიტიკოსი გვყავს, არც საზოგადო მოღვაწე და არც კრიმინალი. საერთოდ, ციფრი 21 ათასიც მაეჭვებს, ვინ რა იცის, რეალურად 21 ათასი ადამიანის მოსმენა ხდება, თუ 57 ათასის ან უფრო ნაკლების?! ამიტომ გამოსავალი ერთადერთია, ნდობის ხარისხი უნდა გაიზარდოს შს სამინისტროს მიმართ“, — აცხადებს გიორგი თავდგირიძე For.ge-სთან საუბარში.

იხ. 6 გვ.

# ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების თაობაზე

**„დღეს საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის მისალოცი დღეა“, „ისტორიული მოვლენა“, „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“, „ასე ახლოს არასოდეს მისულა საქართველო ევროპასთან“ და კიდევ ბევრი სხვა, ყურისთვის სასიამოვნო სიტყვები გვესმის 29 ნოემბრის შემდეგ, როცა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირება მოხდა ვილნიუსში „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სამიტზე. ამას გვეუბნებიან როგორც ახალი, ისე ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები, და იმაშიც გვარწმუნებენ, რომ დასავლეთი „ისტორიული არჩევანია“, რაც ისეთივე სიმართლეა, როგორც ცნობილი მაღალი კაცის ცნობილი ფრაზა: „თურქეთი ჩვენი ისტორიული მეგობარია“.**

დასავლეთისკენ, ანუ კლასიკური (და არა თანამედროვე!) დასავლური ღირებულებებისკენ სწრაფვის, მხოლოდ სწრაფვის, ისტორიულ არჩევანად მონათვლა, უბრალოდ, არასწორია. **გახდება თუ არა არჩევანი ისტორიული, ამას დრო გვიჩვენებს.** 200 წლის წინათ ერეკლე მეფის მიერ გაკეთებული არჩევანი – საქართველოს ბედის რუსეთთან დაკავშირება, ჭეშმარიტად ისტორიული აღმოჩნდა ქართველი ერისთვის, რადგანაც მისი წყალობით ჩვენ ფიზიკურად გადავრჩით, როგორც ქართველი ერი. თუკი, ამჟამად, ჩრდილოეთის ნაცვლად დასავლეთს ავირჩევთ, ამ არჩევანსაც მხოლოდ მაშინ შეიძლება ვუწოდოთ ისტორიული, თუ ისიც გაუძლებს დროის გამოცდას და პოზიტიური აღმოჩნდება საქართველოსთვის. იმ შემთხვევაში კი, თუ ჩვენ თანამედროვე დასავლური ღირებულებების გადმოღებით საკუთარ სახეს დავკარგავთ და გადაშენების პირას მისულები გადავგვარდებით კიდეც, მაშინ ამ არჩევანს ისტორიულს ვერ დავარქმევთ, ეს მკრეხელობა იქნება.

ასოცირების შეთანხმებას მივუბრუნდეთ. იმათგან განსხვავებით, ვინც ამ შეთანხმებას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს უწოდებს, ბევრი ეკონომისტი და ექსპერტი აბსოლუტურად საპირისპიროს(!) ამტკიცებს, მათი აზრით, შეთანხმებაზე ხელის მოწერა, **„ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობა დაგვღუპავს“!**

ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში სიმართლე სადღაც შუაშია, თუმცა, ყოველთვის არა. ჩვენ შემთხვევაში? რომ არ ვიცით? როგორ მოვიქცეთ, ვის დავუჯეროთ? ჩვენ ხომ ბევრჯერ გაგვაცურეს უკეთესი მომავლის დაპირებებით! მე თქვენ გეტყვით და, საჯარო დისკუსიები გამართეს, რომ რაიმე გაგვეგო! უბრალოდ, გამუდმებით გვიცხადებენ, რომ ევროკავშირში გაწევრება იქნება თუ „ნატოში“, ეს მთელი საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა! თუ შეეცდავე და ეჭვი შეიტანე ამ განცხადების სისწორეში, ან ჩრდილოეთისკენ გააპარე მზერა, სამშობლოს მოღალატის იარლიყი გარანტირებული გაქვს. ჩვენდა საბედნიეროდ, დღეს საქართველოში საკმაოდ არიან ადამიანები, რომლებიც არ უშინდებიან მათთვის დაუმსახურებლად მიკერებულ იარლიყებს და სათქმელ სიტყვას სინდის-ნამუსის საზომით უდგებიან მხოლოდ!

ევროკავშირთან ასოცირება უმეტესობაში კარგ ასოციაციებს იწვევს და ამაში გასაკვირიც არაფერია, მაღალი ცხოვრების დონის და დემოკრატიის ხარისხის მქონე ევროპა რატომ უნდა იწვევდეს უსიამოვნო ასოციაციებს. მაგრამ გრძნობებზე დაყრდნობით ხომ არ უნდა წყდებოდეს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეები! 1000–გვერდიანი შეთანხმებიდან საზოგადოებისთვის 1000 სიტყვა, ანუ 3 გვერდი მაინც არ უნდა გაეცნოთ, რომელიც კონკრეტული გათვლებით, ციფრებით დაგვარწმუნებდა საქართველოს ხელისუფლების არჩევანის სისწორეში?! კარგს და თავის მოსაწონებელს განა ვინ მალავს, არავინ! მაგრამ, ამ **ევროკავშირს ერთი უცნაური „ევროპული“ წესი ჰქონია თურმე – ჯერ ხელს მოგაწერინებენ დოკუმენტზე და შინაარსს მერე გაგაცნობენ!** ასეთ „წესს“ ხომ მოფიქრება უნდა, რომელი დალაგებული ადამიანი ჩათვლის ამას დემოკრატიის ნორმად!

ამიტომაც, ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთმა შეთანხმებამ საქართველოს და მსგავს სასტარტო პირობებში მყოფ რომელიმე სახელმწიფოს ეკონომიკურ აღმასვლაში ხელი შეუწყოს. დაჯერება-არდაჯერების გარდა, ჩემი პესიმისტური პროგნოზის ფაქტობრივ დასტურს თავად ევროკავშირში ვპოულობ, სადაც ოფიციალური სტატისტიკით დაახლოებით 20 % მოსახლეობისა, ანუ ყოველი მეხუთე მცხოვრები (500 მილიონიდან 100 მილიონი!) სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება! ეჭვი არ მეპარება, ბევრი მაინც ინატრებს: ნეტამც იმათ სიღარიბის ზღვრამდე მიგვაღწევინა, ბედნიერი ვიქნებოდით, მარტო ამისთვის ღირს ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერაო. მიღწევით აუცილებლად მივაღწევთ ოდესმე, შესაძლოა 20-25 წელიწადშიც, მაგრამ იმ დროისთვის, იქ, სიღარიბის განმსაზღვრელი უკვე სხვა, გაცილებით მაღალი ზღვარი იქნება. დარწმუნებული ვარ, ნაწილობრივ გაუმჯობესდება სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა, მაგრამ განათლება-მეცნიერების ხაზით საბჭოთა კავშირის დროინდელ დონესაც ვერ მივაღწევთ თავისუფალი ვაჭრობის პირობებში, მეცნიერების განვითარების უფლებას, უბრალოდ, არ მოგვცემენ – ჩვენისთანა სახელმწიფოებისთვის მკაფიოდაა განსაზღვრული განსავითარებელი დარგები – მაღალ დონეზე გვექნება არა ერთ დროს მსოფლიოში სახელგანთქმული ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, მათემატიკის, ფიზიოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიის, გეოლოგიის და სხვა სამეცნიერო სკოლები, არამედ, მომსახურების სფერო – გიდების, მთარგმნელების, მიმტანების, სასტუმროს მომსახურე პერსონალის, მძღოლების და სხვა მსგავსი პროფესიის ხალხის მოსამზადებელი საერთაშორისო დონის სასწავლებლები, ისეთი დონის, რომ ევროპა–ამერიკაშიც ექნება გასავალი მათ დიპლომებს!

შევეცადოთ განვიხილოთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებული სახელმწიფოების პოზიცია და მოსახლეობის რეაქცია როგორც მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში, ასევე – მოლდოვასა და უკრაინაში; ვნახოთ ამერიკა–ევროპის გამოხმაურებაც.

**სომხეთი** – ერთი პერიოდი, სომხეთმა, ვითომ, დააპირა კიდეც შეთანხმების პარაფირება (ჩვენი და მოლდოვას მსგავსად), მაგრამ ეს ყველასთვის ადვილად მისახვედრი სვლა იყო ხელისუფლების მხრიდან, რათა რუსეთისგან რაც შეიძლება მეტი შეღავათები მიეღო. სომხეთში მშვენივრად მოეხსენებათ, რომ პოლიტიკურად და ეკონომიკურად რუსეთზე დამოკიდებულ სახელმწიფოს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების არავითარი შანსი არ აქვს. რუსეთის მხარდაჭერის გარეშე ყარაბაღი რამდენიმე დღეში დაიკარგება და რუსული გაზის გარეშე (რუსეთის ბაზარიც რომ არ ვახსენოთ) ცუდი დღე დაადგებათ! ამ სვლამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაამართლა – სომხეთმა რუსეთისგან ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი სუბსიდირების გარანტია მიიღო და ყარაბაღის დაკარგვის საშიშროებაც, ამ ეტაპზე, მოიხსნა! ევროკავშირისგან რას მიიღებდა? სავიზო რეჟიმის შემსუბუქებას ან გაუქმებას და ევროპის ბაზარზე პროდუქციის თავისუფლად შეტანის უფლებას, რაც ნამდვილად არ იქნებოდა საკმარისი კომპენსაცია, რადგანაც სანამ სომხური პროდუქცია (გნებავთ, ქართული, უკრაინული და ა.შ.) ევროპის ბაზარზე ფეხს ისე მოიკიდებს, რომ კონკურენცია გაუწიოს ევროპულს, მანამ სომხეთს (სხვასაც) სული ამოძვრება, ყოველ შემთხვევაში, კარგი დღე არ დაადგება.

**აზერბაიჯანი** – ნავთობ–გაზის წყალობით ეკონომიკურად უზრუნველყოფილი სახელმწიფოა, ანუ, თითქოსდა, რუსეთისგანაც დამოუკიდებელი. და, ამის მიუხედავად, ისიც თავს იკავებს ასოცირების შეთანხმების პარაფირებისგან. რატომ? მხოლოდ და მხოლოდ პრაგმატული მოსაზრებებით. ევროპას ყოველთვის დასჭირდება მისი ნავთობ-გაზი, და გასაღების პრობლემა არასდროს არ დაუდგება აზერბაიჯანს, მეორეს მხრივ კი, რუსეთის ბაზრის და ყარაბაღის პრობლემაც რომ არ ჩავაგდოთ სათვალავში (არადა, არც არჩაგდება შეიძლება, იმდენად მნიშვნელოვანია ორივე!), **კეთილმეზობლური ურთიერთობა კარის მეზობელ, ნახევარი ევრაზიის მფლობელ, რესურსებით მსოფლიოს უმდიდრეს, ხასიათით კი დათვის მეტსახელის მატარებელ სახელმწიფოსთან, ყველა ნორმალური ხელისუფლების პირველი საზრუნავი უნდა იყოს,** ამას მტკიცება არ სჭირდება, ეს აქსიომაა! ასეთი სახელმწიფოს ნების საწინააღმდეგოდ არც ერთი ჭკუათმყოფელი ხელისუფალი არ მიდის.

**მოლდოვაზე** იგივე უნდა ითქვას, რაც **საქართველოზე,** რადგანაც თითქმის მსგავსნი ვართ სიდიდით, მოსახლეობის რაოდენობით, პრობლემებით, ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობით და იმ გადაწყვეტილებითაც, რაც ვილნიუსში ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერაში გამოიხატა.

ახლა **უკრაინაზე** დაწვრილებით, რადგანაც იგი იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც პარაფირების ეტაპი გავლილი ჰქონდა და ვილნიუსში უკვე ხელმოწერით უნდა დაედასტურებინა თავისი არჩევანი, მაგრამ სამიტამდე ერთი კვირით ადრე ევროკავშირთან ინტეგრირება გადაიფიქრა.

მიუხედავად იანუკოვიჩის განცხადებისა, რომ უკრაინა მაშინ წამოიწყებს ლაპარაკს ევროკავშირთან შეთანხმების თაობაზე, **„როცა ის ჩვენს ინტერესებს უპასუხებს“,** დასავლეთი, უკრაინის ამ გადაწყვეტილებას რუსეთის მხრიდან განხორციელებული ზეწოლით ხსნის. იყო რაიმე ზეწოლა რუსეთისგან? რა თქმა უნდა, იყო! მაგრამ ისიც უდავოა, რომ ეს ზეწოლა არ ყოფილა ფარული და გამოიხატებოდა პუტინის მიერ ღიად გაცხადებულ გაფრთხილებაში (არა მხოლოდ უკრაინის!): **კარგად დაფიქრდით, თუ რა სარგებელს მიიღებთ ევროკავშირთან ასოცირების და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, და რას დაკარგავთ ეკონომიკურად და პოლიტიკურადაც რუსეთის მხრიდან მიღებული საპასუხო კონტრზომების შედეგად.** პუტინიც რომ არ აფრთხილებდეს მის მეზობელ, მასთან პოლიტიკურ-ეკონომიკურად დაკავშირებულ სახელმწიფოებს ამის თაობაზე, ყოველი ასეთი სახელმწიფოს ხელისუფლება ვალდებულია(!) თავისით აკეთებდეს გაანგარიშებებს მოსალოდნელ შედეგებზე და მოსახლეობას უხსნიდეს მსგავსი ხელშეკრულებების მიზანშეწონილობას. ამის თაობაზე, ევროკავშირ-რუსეთის თანამშრომლობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ევროპარლამენტში ვერნერ შულცმა Der Standart-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ასე განაცხადა: **„აუცილებელია ევროკავშირმა კიდევ უფრო უკეთესად, ვიდრე ადრე, განმარტოს ევროპა-უკრაინის პარტნიორობის ყველა უპირატესობა“**. ეს სიტყვები ხომ საქართველოსაც ზუსტად ისევე ეხება, როგორც უკრაინას, ჩვენ კი, განმარტების ნაცვლად მხოლოდ არაფრისმთქმელი ბრტყელ-ბრტყელი დამაიმედებელი ფრაზებით გველაპარაკებიან, და სავარაუდო პროგნოზს იმ სავალალო შედეგებზე, რაც ამ შეთანხმების ხელმოწერას შეიძლება მოყვეს მომავალში, არავინ აკეთებს!

ვინაიდან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე საბოლოო ხელმოწერა საქართველოსთვის 2014 წლის სექტემბრისთვისაა დაგეგმილი, პუტინიც, ანუ რუსეთი, განსაკუთრებულ „ყურადღებას“ მაგ დროისთვის დაგვითმობს, მოცლით კი, ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ მოიცლის (მოლდოვასთვისაც). საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება იმის თაობაზე, რომ „რუსეთს აღარა აქვს საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტები, მან ზეწოლის ყველა რესურსი ამოწურა“, – ჩვენი მთავარი დიპლომატის პროფესიონალურ ნაკლზე უფრო მეტყველებს, ვიდრე მოსახლეობის დამშვიდების მცდელობაზე!

აქვე ვიტყვი, რომ უკრაინის სცენარის მსგავსი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად დღევანდელი ხელისუფლება, ანუ ქოცები, ნაცები და, რაღა თქმა უნდა, ამერიკის ელჩი, ყველა ღონეს იხმარენ, რათა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ან საერთოდ არ დაინიშნოს, ანდა – მხოლოდ სექტემბრის შემდეგ, „შეთანხმებაზე“ ხელმოწერის შემდეგ! მიუხედავად იმისა, რომ იგივე ვერნერ შულცის მიხედვით: **„უკრაინისთვის** (საქართველოსთვისაც – **Ი. Ლ.**) **საუკეთესო ვარიანტი რეფერენდუმის ჩატარებაა ევროინტეგრაციის თაობაზე“,** დარწმუნებული ვარ რეფერენდუმს არავინ არ ჩაატარებს ჩვენთან!

უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილებით განაწყენებული, პროდასავლურად განწყობილი მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები ნოემბრის ბოლო კვირაში დაიწყო და მომიტინგეთა რაოდენობა მთელი კვირის განმავლობაში, სხვადასხვა მონაცემებით, 3-დან 15 ათასამდე მერყეობდა (3-მილიონიან კიევში!). ათობით და ასობით ათასი პროტესტანტი ქუჩაში მხოლოდ მას შემდეგ გამოვიდა, რაც პოლიცია ზედმეტად მკაცრად გაუსწორდა მანიფესტანტებს (არც დაშავებულთა რაოდენობით, არც დაშავების სიმძიმით კიევის მოვლენები ახლოსაც ვერ მოვა თბილისში 2011 წლის 26 მაისის სისხლიან ღამესთან. კიევში ლამის თანაბრად დაზარალდნენ მომიტინგეები და პოლიციელები, თბილისში კი – მხოლოდ მომიტინგეები, თანაც ასობით; თბილისში არავინ არ აპირებდა არსად შევარდნას, კიევში კი მერიის შენობაც დაიკავეს, პროფკავშირებისაც და მთავრობის სახლის შტურმით აღებაც სცადეს!).

საპროტესტო გამოსვლებში არაფერია მიუღებელი ან უცნაური, გასაოცარი მხოლოდ ამერიკა-ევროპის პოზიცია გამოდგა. თუკი რომელიმე სახელმწიფო მომგებიან შეთანხმებაზე ხელმოწერას გადაიფიქრებს და ამით თავის თავს მტრობს, შეიძლება სინანული გამოთქვა და გადარწმუნებასაც შეეცადო. ეს აბსოლუტურად სწორი და მისაღები ფორმა იქნება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, მაგრამ, როდესაც ევროკავშირი მწვავე რეაქციას იძლევა, მაშინ ბუნებრივი კითხვა ჩნდება: თუ რაღაც ინტერესები არ ამოძრავებს მას და გეგმები არ ჩაეშალა, რატომ მოუწოდებს სხვა სახელმწიფოს ხალხს მასობრივი საპროტესტო გამოსვლებისკენ, რატომ ხვდება დემონსტრატიულად გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გიდო ვესტერველე ოპოზიციის ლიდერებს და რატომ მიდის იგი პროტესტანტებთან მიტინგზე კიევში?! (არაევროკავშირის წევრი საქართველოდან კიევში ჩასული ნაცების დელეგაციის, ვიცე-სპიკერ გია ბარამიძის თავკაცობით პარლამენტის წევრების მიტინგზე გამოსვლასთან დაკავშირებით, აღარაფერს ვლაპარაკობ!). ეს რომელი დემოკრატიის და სხვის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკის ჩარჩოებში ჯდება, მესამე სამყაროს ქვეყნებისთვის შემუშავებულ ჩარჩოებში?!

კიდევ უფრო მოულოდნელია ამერიკის (აშშ) პოზიცია. თითქოსდა, რა შუაშია ამერიკა, რაში უნდა ანალვლებდეს ან ეკითხებოდეს 28 სახელმწიფოს გაერთიანებასთან ვინ რა შეთანხმებას მოაწერს თუ არ მოაწერს ხელს. სად გაგონილა უკრაინის ხელმოუწერლობით განაწყენებული ამერიკა სანქციებს უწესებდეს ამ სახელმწიფოს, რომელსაც მის წინაშე იოტისოდენა დანაშაული არ მიუძღვის?! იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა არ გადაიფიქრებს და ხელს არ მოაწერს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, ამერიკის ადმინისტრაცია აპირებს განიხილოს, ერთის მხრივ, იანუკოვიჩისთვის და მისი მინისტრთა კაბინეტის წევრებისთვის ამერიკაში და ევროკავშირის(!) ქვეყნებში შესვლის აკრძალვის და, მეორეს მხრივ, უკრაინის ხელისუფლებასთან დაკავშირებული კომპანიების საბანკო ანგარიშების გაყინვის საკითხი! აი, ეს არის წმინდა წყლის შანტაჟი და საშინაო საქმეებში ჩარევა! ასეთ ულტიმატუმს უყენებენ, ასეთი შანტაჟის ენით ელაპარაკებიან 50-მილიონიან სახელმწიფოს, რომელსაც გვერდში დამცველად მოძმე რუსეთი უდგას, და ... ხელს მაინც რუსეთისკენ იშვერენ, მის ზეწოლაზე ლაპარაკობენ!

ევროპის მსგავსად, ამერიკის კიდევ უფრო არაადეკვატური რეაქცია ნებისმიერ ადამიანში ეჭვებს აღძრავს, რადგანაც ანალოგიურ შემთხვევებში, კეთილმოსურნე მხარე, ჩვეულებრივ, წყნარად აცხადებს: თუ ამჟამად ვერ გადაგიწყვეტიათ ხელმოწერა, არა ხართ დარწმუნებული თქვენი ნაბიჯის სისწორეში, ჩვენ არ გაჩქარებთ, კიდევ დაგვაკვირდით და როდესაც დარწმუნდებით, რომ ჩვენთან ინტეგრაცია სასიკეთოდ წაადგება თქვენ ხალხს, თქვენც მაშინ შემოგვიერთდით! მაგრამ, როდესაც ამის ნაცვლად სანქციებით იმუქრებიან, ე.ი. მთლად ისე არ უნდა იყოს საქმე, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობენ ვარდისფერ ფერებში!

ამ რეაქციის მიზეზის და უკრაინის გადაწყვეტილების მართებულობის ახსნას independent-ის მიმომხილველ ტომ პეკის წერილში ვპოულობთ: **„ევროკავშირის ერთიანი ბაზრის გაფართოება თეორიულად კარგია ბრიტანული ბიზნესისთვის“**. და კიდევ: **„ევროკავშირთან ასოციაციის და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ხელმოწერას, მკაცრი ეკონომიკური დასჯა მოყვებოდა რუსეთის მხრიდან, ევროპას კი, ამ დროს, მხოლოდ შორეულ პერსპექტივაში შეუძლია რაღაც გარკვეული უპირატესობების შეთავაზება“.**

ინგლისელი (და არა ქართველი ან რუსი!) მიმომხილველის ამ ორ წინადადებაში, პრინციპში, ყველაფერია ნათქვამი, თანაც, სავსებით გასაგებად – ის, რაც კარგია ბრიტანული ბიზნესისთვის, კარგი იქნება გერმანული და სხვათა ბიზნესისთვისაც; რა ეკონომიკურ დასჯასაც რუსეთი უპირებდა უკრაინას, ანალოგიურს მოიფიქრებს მოლდოვასა და საქართველოსთვისაც (ჩვენ შემთხვევაში უფრო პოლიტიკურს, ვიდრე ეკონომიკურს); ხოლო, რაც შეეხება იმას, თუ როდის მივიღებთ სარგებელს შეთანხმებაზე ხელმოწერით, ამის დრო როდის დადგება, ევროპა მიახლოებით პასუხსაც ვერ იძლევა! აბა, ამის შემდეგ რომელი წინდახედული ხელისუფალი გარისკავს და „გაზაფხულის იონჯას“ გამოეკიდება, როცა გაზაფხულამდე შეიძლება ვერც კი მიაწიოს და, როცა არავინ უწყის ნანატრი გაზაფხული როდის დადგება! და დადგება თუ არა, საერთოდ!

**ამერიკა, ევროკავშირის ხელით, ცდილობს რუსეთის გავლენის სფეროების შეზღუდვას** – უკრაინის, მოლდოვას, ბელორუსის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს და შემდეგ შუა აზიის ქვეყნების რუსეთისგან ჩამოშორებას, რუსეთის დასუსტებას, და არა – საქართველოს ან სხვების გაძლიერებას! სწორედაც, **ამ დასახული მიზნისკენ სავალ გზაზე განცდილი წარუმატებლობა (განსაკუთრებით, უკრაინაში და, ნაწილობრივ, სომხეთსა და აზერბაიჯანში) არის მათი გაწიწმატების მიზეზი.**

**ᲘᲐᲙᲝᲑ ᲚᲔᲟᲐᲕᲐ,**

4 დეკემბერი, 2013

**P. S. ᲝᲠᲘ დღის წინათ ახალი სასიხარულო ამბავი გვამცნო საგარეო საქმეთა მინისტრმა – შესაძლოა, დაგეგმილზე ადრე, გაზაფხულზე მოგვაწერინონ შეთანხმებაზე ხელი! ᲩᲥᲐᲠᲝᲑᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲩᲥᲐᲠᲝᲑᲡ!**

**Ი. Ლ.**



# სააკაშვილის ბედი კეზერაშვილის პირის დაღებაზეა დამოკიდებული



**კეზერაშვილის საფრანგეთში დაპატიმრებას ერთი პერიოდი ქართველი სამართალდამცავები ფრანგ კოლეგებთან ურთიერთთანამშრომლობის ლოგიკური შედეგით უხსნიდნენ საზოგადოებას. თავდაცვის ექსმინისტრზე ხომ ჩვენს მხარეს ინტერპოლის მეშვეობით წითელი ცირკულარით სხვადასხვა დანაშაულებში მონაწილეობისათვის, როგორც ეჭვმიტანილზე, ძებნა ჰქონდა გამოცხადებული. გვისახელებდნენ თარიღს, რამდენ დღეში უნდა ჩატეულიყო პროკურატურა, რათა საფრანგეთის მხარისათვის შესაბამისი დოკუმენტაცია გადაეგზავნა და მომხდარიყო დაკავებულის ექსტრადიცია. ყველაფერი დროულად მომზადდა და გადაიგზავნა, მაგრამ პარიზი კეზერაშვილს ვერ ელევა, ნელ-ნელა ირკვევა, რომ ყოფილი მინისტრის ქართული მხარისათვის გადმოცემას ფრანგები არ ჩქარობენ და, მგონი, საერთოდ არც აპირებენ, რადგანაც იკვეთება, რომ საქმე გვაქვს ჩვენი წითელი ცირკულარით ძებნაგამოცხადებულის სამშობლოში ჩადენილ დანაშაულზე ბევრად მძიმე და საერთაშორისო მასშტაბის დანაშაულთან — იარაღის უკანონო ვაჭრობასთან. მის გადმოცემაზე სიტყვა არ დაუძრავს ისრაელსაც, რომლის მოქალაქეცაა.**

**ჩვენმა სამართალდამცავებმაც ნელ-ნელა ჩააცხრეს აჟიოტაჟი ექს-მინისტრთან დაკავშირებით. ამ დროს კი საეჭვოდ გაიყურსა „ნაციონალური მოძრაობა" — საპარლამენტო უმცირესობა, ისინი არ დარბიან ქუჩებში დროშებითა და კეზერას სურათებით, არ აწყობენ აქციებს საფრანგეთის საელჩოსთან მოთხოვნით, რომ გაათავისუფლონ „ივანიშვილის სისხლიანი რეჟიმის" ცრუ ბრალდებების საფუძველზე დაკავებული მათი თანამებრძოლი. „ნაცებმა" კარგად იციან, თუ რა ხდება და გულისფანცქალით ელოდებიან პარიზიდან „მიწვევას" (ძირითადად, ლიდერები) ჩვენებათა მისაცემად.**

## ალიანსი სერიოზულ კონტრაბანდისტთან

ექსპერტმა მამუკა არეშიძემ სააგენტო „ტელეგრაფს" განუცხადა, რომ თავდაცვის ექს-მინისტრმა საფრანგეთში ჩვენება მისცა აშშ-ში გასამართლებულ და 25-წლიანი პატიმრობამისჯილი (იარაღის კონტრაბანდისთვის) რუსეთის მოქალაქე ვიქტორ ბუტის წინააღმდეგ. გავრცელებული ინფორმაციით, როგორც კი ეს ფაქტი გახმიანდა, ბუტის ადვოკატებმა, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ თავისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის გამოტანილი სასჯელის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრება, ჩანაფიქრზე ხელი აიღეს და სარჩელი სააპელაციოდან გამოიტანეს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კეზერაშვილის ჩვენების მიცემის შემდეგ საპროტესტო სარჩელს აზრი აღარ ჰქონდა, — მიაჩნია არეშიძეს.

ვიქტორ ბუტი რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფილი ოფიცერია, იგი 2008 წელს დააპატიმრეს და ბრალად წაუყენეს ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილო აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში იარაღით უკანონოდ ვაჭრობა, შეთქმულება აშშ-ს მოქალაქეთა მკვლელობის მიზნით და ტერორიზმის მხარდაჭერა.

მსჯავრდებულის დაკავება მოხდა იმ გარემოებებში, როდესაც აშშ-ს ფედერალური ბიუროს წარმომადგენლები მას გაეცნენ, როგორც კოლუმბიის ამბოხებულები. მოლაპარაკება ტაილანდში მიმდინარეობდა, დაკავებაც იქვე მოხდა, აშშ-ს მიერ გაცემული ორდერის საფუძველზე, სასამართლო დროში საკმაოდ გაიწელა და 2008 წელს დაწყებული მხოლოდ 2012 წელს დამთავრდა. ნიუ-იორკის სასამართლომ ტერორისტს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ექსპერტი სამხედრო საქმეებში **ვახტანგ მაისაია** თვლის, რომ **კეზერაშვილის საქმე იმდენად მძიმეა, რომ საფრანგეთის პროკურატურამ მას გრიფი „საიდუმლო" დაადო, როცა ქვეყნის მართლმსაჯულებისათვის უიშვიათესი შემთხვევაა.** იგი არ გამორიცხავს, რომ გამოძიება გავიდეს ქართულ მხარეზე და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების გამოძიებაში ჩართვაც გახდეს საჭირო, ძირითადად, ყოფილი ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდან. მაისაიას ვარაუდით, **აუცილებლად ამოტივტივდება ამ საქმეში სააკაშვილის როლი,** სამხედრო ექსპერტი დარწმუნებულია, რომ კეზერაშვილზე სერიოზული ბრალდებებია. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ამ დროის განმავლობაში გირაოთი მაინც გამოუშვებდნენ, იგი არ გამორიცხავს, რომ ძიების მსვლელობისას გამოიკვეთება ამ უკანონობაში ექსპრეზიდენტის ბიძის თემურ ალასანიას როლიც.

მაისაია დარწმუნებულია, რომ **კეზერაშვილი მესამე ქვეყნებისთვის იარაღის მიწოდებას ბუტის შუამავლობითა და მისი თვითმფრინავებით ახორციელებდა.**



ბუტი უსერიოზულესი დილერი იყო, მას საკუთარი ავიაკომპანია ჰქონდა, სწორედ საკუთარი ტვირთმზიდებით გადაჰქონდა მას იარაღი დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე, ავსტრალიის გარდა. იარაღთან ერთად, ბუტის ავიალაინერებს ამ კონტინენტებზე დაქირავებული მებრძოლებიც გადაჰყავდათ — ანგოლაში, მოზამბიკსა და სამხრეთ აფრიკაში ყველა უკანონო, კონტრაბანდისტული გადაზიდვების 40 პროცენტი კონტრაბანდის დილერის ავიაკომპანიაზე მოდიოდა. მაისაიას მტკიცებით, ამ საქმიანობაში რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებიც იყვნენ ჩართულნი, რუსეთი დღეს ყველაზე მსხვილი იარაღის ექსპორტიორია მსოფლიოში, მისი წლიური შემოსავალი 20 მლრდ დოლარია, ამას გარდა რუსეთი მშვენივრად იყენებს შავ ბაზარსაც, იმის გამო, რომ მსოფლიოში არსებობს შეზღუდვები, თუ რა ტიპის შეიარაღების მიწოდებაა დასაშვები, არსებობს აგრეთვე აკრძალვებიც, **იარაღის მიწოდება ეკრძალება საერთაშორისო ტერორისტული და დანაშაულებრივი ჯგუფებისთვის, აგრეთვე, არშემდგარი ქვეყნებისთვის.**

ბუტის საქმის სერიოზულობაზე ისიც მეტყველებს, რომ ტაილანდში დაკავებული ბუტის გამო რუსეთი ყოველმხრივ ზეწოლას ახორციელებდა ამ ქვეყნის ხელისუფლებაზე, რათა რუსი ოფიცერი აშშ-სთვის არ გადაეცათ, მაგრამ მაინც გადასცეს. მაშინ მოსკოვმა შტატებს მოსთხოვა თავისი მოქალაქის გადმოცემა, მაგრამ უშედეგოდ. პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ იმდროინდელი რუსეთი-აშშ-ს ურთიერთობების დაძაბვის ერთ-ერთი მიზეზი კონტრაბანდისტის გადაცემა-არგადაცემის საკითხიც გახდა.

## რას იზამს კეზერა?

ყოფილი ხელისუფლების პირობებში საქართველოში იარაღით უკანონო ვაჭრობამ მასშტაბური ხასიათი მიიღო, რაშიც უმთავრეს როლს კეზერაშვილი ასრულებდა, ბუტის თავის ავიაკომპანიის მეშვეობით იარაღის მესამე ქვეყნებში გადაზიდვებში შუამავალი იყო.

მაისაია გამოთქვამს ვერსიებს, თუ რა ფუნქციას ასრულებდა საქართველო და, კერძოდ, კეზერაშვილი ამ უკანონო ოპერაციებში:

**1. ხდებოდა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში არსებული იარაღის ჩამოწერა უვარგისობისა და ექსპლუატაციის ვადის გასვლის მოტივით, რაც შემდეგ რუსი კონტრაბანდისტის მეშვეობით მესამე ქვეყნებზე იყიდებოდა;**

**2. იარაღს ჩრდილოელი და კეზერაშვილი სხვაგან ყიდულობდნენ და მესამე ქვეყანაზე ჰყიდდნენ;**

**3. საქართველო ასრულებდა შუამავალს და უკანონო იარაღის სატრანზიტო ტერიტორიის ფუნქციას (ამდენი ინფორმაციის მქონე მაისაიას, კონტრაბანდაში ყელამდე ჩაფლული სააკაშვილი დაიჭერდა, აბა რას უზამდა — ზ. ბ.).**

ის, რომ სააკაშვილი დიდად იყო დამოკიდებული კეზერაშვილზე, მისი ერთ-ერთი გამოსვლიდანაც ცხადად გამოიკვეთა, — გვიხსნის უშიშროების საბჭოს ყოფილი თანამშრომელი, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი **ოთარ მენაბდიშვილი.** მისი განმარტებით, **ეხებოდა რა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტს, იმჟამინდელმა პრეზიდენტმა საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფ სამხედრო ნაწილებს მასიური ცეცხლი არ გაეხსნათ, ასეთი ფრაზა ისროლა** (თუ წამოსცდა) **— იმ დროს კეზერაშვილი საქართველოში საერთოდ არ იყო, ზღვაზე ისვენებდა, 5-ჯერ მომიხდა მასთან დაკავშრება, რათა ქვეყანაში დაბრუნება მეიძულებინაო,** — ამას ამბობს სახელმწიფოს პირველი პირი, უმაღლესი მთავარსარდალი, მის მიერვე დანიშნულ თავდაცვის მინისტრზე. ჩვენი რესპონდენტი იქვე აღნიშნავს, — **ან რად უნდოდა სააკაშვილს კეზერაშვილი, როდესაც ფრონტის წინა ხაზზე ჰყავდა ისეთი „გამოცდილი სარდლები", როგორებიც არიან გიგი უგულავა, გიგა ბოკერია და „ნაცმოს" ერთგული გენერალიტეტი, რომელთაც რუსების მოძალების შემდეგ უკან დახევის დროს უპატრონოდ დატოვეს, მტერს შეატოვეს პირტიტველა ბიჭები. „სარდლები" კი ისე უკანმოუხედავად გარბოდნენ წითელი ხიდისკენ, რომ თავიანთი სამთავრობო ჯიპებიც კი ვერ ეწეოდნენ. პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იდგა რა თავის ჯიპთან ჩალაგებული „ჩემოდნით" წითელი ხიდისკენ გასაქცევად გამზადებული, მოსახლეობას ჩანგლებით, დანებით, ფიწლებით და ა.შ. საკუთარი თავის, ოჯახების და, რაც მთავარია, სამშობლოს დაცვისაკენ მოუწოდებდა,** — სინანულით გვეუბნება თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი.

მაისაია პარალელს ავლებს აშშ-ის შპიონაჟის სკანდალსა და კეზერაშვილის დაკავებას შორის. მისი აზრით, მასობრივი მოსმენების დროს ამოტივტივდა საქართველოს ექსმინისტრის გვარი, სამხედრო ექსპერტი დარწმუნებულია, რომ კეზერაშვილი საფრანგეთისა და აშშ-ის სპეცსამსახურების ერთობლივი ღონისძიების შედეგად დააკავეს, იგი იხსენებს 2012 წელს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებას, სადაც საქართველო მოხსენიებულია, როგორც იარაღით უკანონო ვაჭრობის ქვეყანა, რაც ხორციელდებოდა თავდაცვის სამინისტროს ხაზით. აქედან გამომდინარეა, ასკვნის მაისაია, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა ბოლო პერიოდში სააკაშვილთან უშუალო კონტაქტებს თავს არიდებდა.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სააკაშვილის საზღვარგარეთ ხანგრძლივი ვიზიტები მისი თვითგადარჩენის მცდელობაა, იგი იმყოფებოდა საფრანგეთში, სადაც შეხვდა ექსპრეზიდენტ სარკოზს, მაგრამ მისგან ჯეროვანი მხარდაჭერის გარანტიები ვერ მიიღო. ამჟამად იგი აშშ-ია და თავის პატრონებთან და ლობისტებთან ცდილობს მოაგვაროს მისთვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების საკითხები.

სამხედრო ექსპერტის ვახტანგ მაისაიას მტკიცებით, ვერანაირი მფარველები ვერ უშველიან ექსპრეზიდენტს, თუ კეზერაშვილმა პირი დაალო.

**ზაზა ბილიხოძე**

## ალიან-ჩალიანი

### კონტრაბანდა თურქეთიდან და სომხეთიდან

**აზერბაიჯანის მოქალაქეები საქონლის დეკლარირების გარეშე შემოტანის გამო დაჯარიმდნენ. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საბაჟო გამშვებ პუნქტ „სარფის" ტერიტორიაზე თურქეთის მხრიდან აზერბაიჯანის მოქალაქე ა.კ. შემოვიდა.**

**მგზავრს დათვალიერებისას აღმოაჩნდა არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები, საერთო წონით 165,17 გრ. საქონლის საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 6456,4 ლარი.**

**220,29გრ. ოქროს ნაკეთობები აღმოაჩნდა აზერბაიჯანის მოქალაქე ე.ს.-ს, რომელიც იმავე დღეს, ასევე თურქეთის მხრიდან შემოვიდა „სარფის" ტერიტორიაზე. მის მიერ შემოტანილი საქონლის საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 8612,9 ლარი. ორივე მოქალაქეს, სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა — შესაბამისად, 6456.4 ლარი და 8612,9 ლარი.**

**საბაჟო გამშვები პუნქტის „სადახლოს" ტერიტორიაზე სომხეთის მხრიდან საქართველოს მოქალაქე ვ.ე. შემოვიდა. საბაჟო პროცედურების ფარგლებში მოქალაქის კუთვნილი ავტომანქანის დათვალიერებისას აღმოჩნდა არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ, პარფიუმერული ნაწარმი.**

**საქონლის საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 4393,5 ლარი. აღნიშნულ პირს, სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 4393,5 ლარი.**

### ნარკოდილერებისთვის ხაფანგი აღმოჩნდა

**სატვირთო ავტომანქანის სალონში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი აღმოაჩინეს. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საბაჟო გამშვებ პუნქტზე „წითელი ხიდი" აზერბაიჯანის მხრიდან თურქეთის მოქალაქე ჰ.უ. შემოვიდა.**

**დათვალიერებისას, მგზავრის კუთვნილი სატვირთო ავტომანქანის სალონში აღმოჩენილი იქნა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი OP.DOL-17 აბი.**

**აღნიშნული საქმე შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა შსს-ს კრიმინალურ პოლიციას. შემოსავლების სამსახურმა თურქეთიდან, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტების შემოტანის მცდელობა დააფიქსირა.**

**საბაჟო გამშვები პუნქტის „ვალეს" ტერიტორიაზე თურქეთის მხრიდან შემოვიდა ირანის მოქალაქე ჰ.ფ., რომლის ხელბარგის დათვალიერებისას აღმოჩენილ იქნა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი — „დიფენოქსილატი" 10 აბი.**

**იმავე დღეს, 27 აბი ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი „ქლორდიაზეპოქსიდი" აღმოჩნდა „ვალეს" ტერიტორიაზე თურქეთის მხრიდან შემოსული ირანის მოქალაქის მ. ს.-ის ხელბარგშიც.**

**ინტერპრესი**

# „ექვსეულ-ირანის“ ჟენევის შეთანხმება შედგა

**„ექვსეულ-ირანის“ ჟენევის შეთანხმება უარყოფითად აღიქვეს ისრაელსა და ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში, უპირველეს ყოვლისა, საუდის არაბეთში. მათ უკვე გამოთქვეს ნეგატიური მოსაზრება და ხელშეკრულებას ისტორიული მარცხი უწოდეს. განსაკუთრებით კატეგორიული იყო ისრაელის პრემიერ-მინისტრი ნეთანიაჰუ, რომელიც ვერც აშშ-ს პრეზიდენტის ლაპარაკმა დაამშვიდა.**

საუდის არაბეთის მეფესა და ისრაელის პრემიერ-მინისტრს ერთობლივი პოზიცია აღმოაჩნდათ ჟენევის დოკუმენტის მიმართ, რაც გასაკვირი არ არის, ვინაიდან ორივენი ირანის პოზიციების განმტკიცების აშკარა მოწინააღმდეგენი არიან. ორივენი არ მიესალმებიან ირანის პოლიტიკას სირიასთან მიმართებაში. ორივე ახლო აღმოსავლეთში ირანის ლიდერობის წინააღმდეგია, ორივე ნეგატიურად აღიქვამს ამერიკა-ირანის ურთიერთობების გამოსწორებას.

საუდის არაბეთისა და ისრაელის პოზიციების თანხვედრა ბევრი რამით არის გამოწვეული, უპირველესად, ირანის შიშით. ძლიერი და გავლენიანი ირანი, მით უმეტეს აშშ-სთან დაახლოებული, გააფერმკრთალებს ამ ქვეყნების გავლენას ვაშინგტონის კარზე. ამერიკა-ირანის ურთიერთობათა დათბობა ჟენევის შემდეგ სრული რეალობით წარმოჩინდება, რაც თავისთავად აღძრავს ეჭვს საუდის არაბეთსა და ისრაელში. ვინ უფრო მეტად **„ეყვარება ვაშინგტონს, საუდის არაბეთ-ისრაელი თუ ირანი?“** აი, ის ეჭვი, რომელიც ბუნებრივად წარმოშვა ჟენევის დოკუმენტმა.

ეჭვი ნამდვილად არ არის საფუძველს მოკლებული, ვინაიდან ერ-რიადმა და თელ-ავივმა კარგად იციან, „საყვარელი“ ამერიკის ხასიათი. ისიც კარგად იციან, რომ ვაშინგტონი მარტო ამ ჟენევით არ შემოიფარგლება და გააგრძელებს ძალისხმევას სხვა ჟენევისთვის, ანუ თუ ყველაფერი ხელშეკრულების მიხედვით წარიმართა და ირანის მხარემ არ „გადაუხვია“. ერთი წლის შემდეგ, ახალი ხელშეკრულება დაიდება – გაცილებით მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი, ვიდრე ჟენევის ამჟამინდელი დოკუმენტია. აღორძინდება 1979 წლის ისლამური რევოლუციით შეწყვეტილი ამერიკა-ირანის ურთიერთობა.

ძნელად მოიძებნება ობამას ადმინისტრაციაში მოხელე, რომელიც ირანთან მარტო ხელშეკრულებას დასჯერდეს. აშშ-ის პოლიტიკა აქტიურად ილვაწებს ამ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების აღსადგენად, სხვა კავშირების ჩამოსაყალიბებლად. ირანის ისლამური რესპუბლიკა ამ თვალსაზრისით ამერიკისთვის ყამირია. მას არასდროს ჰქონია ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან ურთიერთობები. მას შაჰის ირანთან ჰქონდა კავშირი, თანაც 35 წლის წინათ.

35 წელიწადი კი დიდი დროა, ხალხის მენტალიტეტის გარდასაქმნელად – მხედველობაში მაქვს ირანის მოსახლეობა. ირანი, ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიული თვალსაზრისით, ახალგაზრდა სახელმწიფოა. ამ ახალგაზრდებს არ უნახავთ ცოცხალი ამერიკელი. თუ რამ ესმოდათ მათზე და მათ ქვეყანაზე – ნეგატიური იყო, ნომერ პირველი „სატანა“ – ასე მოიხსენიებდა ისლამური ირანის დამფუძნებელი აიათოლა ხომეინი აშშ-ს.

ბევრი რამ ცუდი იგემა რევოლუციურმა ირანმა პირველი „სატანისგან“ – ტერორისტული აქტებიდან დაწყებული, ერაყ-ირანის ომის წაქეზებითა და ეკონომიკური სანქციებით დამთავრებული. ერთი წლის განმავლობაში 400 მილიარდ დოლარს კარგავდა ირანი ამერიკელთა მეცადინეობით შემოღებული ეკონომიკური სანქციებით, ვაჭრობის შეზღუდვით, საბანკო ანგარიშების გაყინვით და ა.შ. როგორც ჩანს, ყოველივე ნეგატიური წარსულს ბარდება. აწმყო და მომავალი საინტერესოა აშშ-თვის, არანაკლებად – ირანისთვის.

პირდაპირი მნიშვნელობით აშშ-ს ირანის წინააღმდეგ არ უომია, ისე, როგორც ეს იყო ვიეტნამში. ვიეტნამის ომი აშშ-ს ისტორიის შავი ფურცელია, მაგრამ უკვე ისტორიის გაყვითლებული ფურცელი. ვიეტნამმა გადალახა მის არსებაში ჩამოყალიბებული მტრობა აგრესორი ამერიკის მიმართ და სრულიად ახალი პოლიტიკა შეიმუშავა გუშინდელ მტერთან მიმართებაში.

ორი ქვეყნის დღევანდელი ურთიერთობები პრაგმატიზმს ეფუძნება. ამერიკასთან თანამშრომლობამ წინ წამოსწია ვიეტნამის ეკონომიკა. ეს ქვეყანა ლამის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკური „ვეფხვების“ მცირერიცხოვან გუნდში შევიდეს. არის თუ არა ირანთან მიმართებაში მსგავსი პერსპექტივა მოსალოდნელი?

**ცხადია, არის! ირანი, აშშ-ს, მრავალმხრივ მომხიბვლელი სახელმწიფოა, ჯერ ერთი – გეოპოლიტიკური მდგომარეობით, მეორეც – განსწავლული 80-მილიონიანი მოსახლეობით, გარდა ამისა, განვითრებული მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, ენერგეტიკით, მედიცინით და ა.შ. ირანთან ურთიერთობა სხვა პერსპექტივას უსახავს აშშ-ს, პერსპექტივას კასპიის ზღვასა და ზღვისპირა ქვეყნებზე, ცენტრალურ აზიაზე, კავკასიაზე, რაც ჰეგემონი ქვეყნისთვის ერთობ მომხიბლველი რამ არის.**

აშშ-ის ირანთან მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარება სერიოზული გამოწვევა იქნება როგორც რუსეთის, ისე ჩინეთისთვის.

ჟენევის დოკუმენტი, ერთი შეხედვით, მსოფლიოს მშვიდობის გარანტად იქცა, რასაც რუსეთი გულთბილად მიესალმა, მაგრამ ღამის 3 საათზე ლავროვის ღიმილი და „ექვსეულის“ წევრებთან ხვევნა-კოცნა, მხოლოდ ფასადური ნაწილია. გულის სიღრმეში, რუსეთისთვის ახალი თავსატკივარი ჩნდება, ერთმანეთთან დაახლოებული ამერიკა-ირანის სახით.

საბჭოთა კავშირის დროინდელ პოლიტიკოსებს კარგად ახსოვთ ამ ტანდემის მოქმედება. მართალია, დღეს მსგავსი არაფერი ხდება და, ალბათ, არც მოხდება, მაგრამ ის, რომ პერსპექტივაში რუსეთის სამხრეთში გეოპოლიტიკური ვითარება შეიცვლება, ცხადია. და არა მარტო რუსეთის სამხრეთში, მთელს მსოფლიოში, მათ შორის კავკასიაში.

ალბათ, ნაკლებად მოიძებნება ქვეყანაზე ადამიანი, ვინც წყრომას იოლად ივიწყებს. ასეა ქვეყანაც – ადამიანებისგან შემდგარი. **ირანს კარგად ახსოვს საქართველოს „საოცნებო“ ხელისუფლების მიერ გადადგმული არასახარბიელო ანტიირანული ნაბიჯები – უვიზო ხელშეკრულების გაუქმება, საქართველოში ირანული ბიზნესისთვის პრობლემების შექმნა, ირანელთათვის საბანკო ოპერაციებზე უარის თქმა, ირანის ავიაკომპანია „ფლაი-ჯორჯიას“ ფაქტობრივი გაჩერება და სხვა.**



„ოცნების“ ხელისუფლებამ ერთი წლის განმავლობაში იმდენი უარყოფითი ნაბიჯი გადადგა ირანთან მიმართებაში, რომ სხვა ქვეყნები წლებს მოანდომბდნენ არასაშურ საქმეს. არადა **ირანი ის სახელმწიფოა, რომელიც მუდამ მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის გაეროში. ირანი ის ქვეყანაა, ვინც, საქართველოს მეგობრობისა და დახმარების ხელი გამოუწოდა დამოუკიდებლობის პირველ წლებში. ირანისგან ბევრის სწავლა შეიძლებოდა, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მედიცინის, აგრეთვე სხვა დარგებში.**

სამწუხაროდ, ფუჭად ჩაიარა წლებმა, დასავლეთზე ორიენტირებულმა ქვეყანამ, სხვასთან ურთიერთობა არაფრად ჩააგდო, აჰყვა დასავლეთს, კეძოდ აშშ-ისრაელის ანტიირანულ პოლიტიკას და ზურგი შეაქცია 80-მილიონიან ქვეყანას. ამერიკა-ირანის ურთიერთობათა გაუმჯობესება, სხვაგვარად აფიქრებინებს საქართველოს პოლიტიკას და უნდა ვიმედოვნოთ პოზიტიურად, ამ დიდი ქვეყნის მიმართ.

ირანი არა მარტო ეკონომიკით და ენერგომატარებლებითაა საინტერესო, არამედ რელიგიური აღმსარებლობითაც. შიიტური ირანი დიდი გავლენით სარგებლობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ შიიტებში და არა მარტო მათში. ირანის მოწინააღმდეგე სუნიტურ საუდის არაბეთში მოსახლეობის 20% შიიტები შეადგენენ, იემენში - 40% (ზეიდიტები), ბაჰრეინში – მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, ქუვეიტში - თითქმის მესამედს. სირიაში შიიტების მონათესავე ალავიტები არიან ქვეყნის სათავეში. შიიტების დიდი რაოდენობა ცხოვრობს ერაყში, სხვა ქვეყნებში.

ირანის ისლამური რესპუბლიკა კატეგორიული წინააღმდეგია ექსტრემისტული ისლამის, სალაფიტების, ჯიჰადისტების.

ცნობისთვის: **სალაფიტებად ისინი მოიაზრებიან, რომლებიც პატივისცემით არიან განმსჭვალული წინაპრების მიმართ. მათ ხშირად ფუნდამენტალისტებადაც მოიხსენიებენ. ისინი მოუწოდებენ ისლამურ საზოგადოებას, დაუბრუნდნენ „ოქროს ხანას“, როდესაც ბატონობდა სუფთა, შეუბღალავი ისლამი, როდესაც ხელისუფალნი ცხოვრობდნენ ყურანის მიხედვით, სუნიტურად.**

**ჯიჰადი ნიშნავს მაქსიმალურ ძალისხმევას აღმსარებლობისთვის. ჯიჰადი ხშირად ითარგმნება, როგორც „სამართლიანი ომი“.**

ირანთან ნორმალური ურთიერთობა წმინდა რელიგიური თვალსაზრისითაც უნდა იყოს სასარგებლო. ირანის რელიგიური გავლენის უგულებელყოფა დააზიანებს ქვეყნის ინტერესებს. ირანი მხარს უჭერს ბაშარ ასადს, მას მყარი პოზიციები აქვს სირიაში. სირიის ომში ჩართულია ათასი ჯურის ექსტრემისტი, რომლებიც სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებენ.

სირიის ხელისუფლების მხარდასაჭერად იბრძვიან სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული შიიტი მებრძოლები. ირანის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ მთელს მსოფლიოს აუწყა – თუ უცხოელი სუნიტი „ბოევიკები“ დატოვებენ სირიას, მაშინ ის შიიტ მებრძოლებს მოუწოდებს გამოვიდნენ ამ ქვეყნიდან.

**სამწუხაროდ, სირიის ტერიტორიაზეც იკვეთება ირან-საქართველოს ინტერესები. სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ არაერთი პანკისელი იბრძვის, ზოგი მათგანი სამხედრო ნაწილების მეთაურებადაც გვევლინება.**

სირიის საკითხებში ყურებამდე ჩაფლული ირანი აღიზიანებს საუდის არაბეთს, ისევე, როგორც ყატარს, არაბულ საამიროებს, ისრაელსა და დასავლეთს. ჯიჰადისტებს სურთ მსოფლიოში ჯიჰადის დომინირება და აქედან გამომდინარე – დაუნდობელი ომი ურწმუნოებთან. მათ მიერ გამოცემულ ბროშურებში წერია:

**„ძმაო, შენ მეკითხები, რატომ ვკლავთ ამერიკელებს? გპასუხობ – იმიტომ, რომ ისინი სინამდვილეში ებრაელები არიან, რომლებმაც მუსლიმანებს წაართვეს პალესტინა და დაიპყრეს წმინდა იერუსალიმი“.**

ჯიჰადიზმი არ გადაიზარდა გლობალურ ისლამიზმში, ვერ გადაიქცა მძლავრ მსოფლიო ძალად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „ალ-ქაიდა“ დასამარდა. ექსტრემისტული ისლამი, „ალ-ქაიდას“ ფილიალების სახით, ფართოდაა წარმოდგენილი სირიაში. და რაოდენ პარადოქსულად არ უნდა მოჩანდეს, ბაშარ ასადის, ირანის, რუსეთის და თვით ამერიკის მტერი, ამერიკა-ევროკავშირის იარაღით და ფინანსებით მარაგდება.

სწორედ ამ დახმარების წყალობით ერთ დროს არაბული „მარგალიტი“ სირია განადგურების პირასაა მისული. ქვეყნის ქალაქების დიდი ნაწილი ნანგრევებადაა ქცეული. მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა ლტოლვილობაში ცხოვრობს მეზობელ თურქეთსა და სხვა ქვეყნებში.

სირიის ტრაგედიის დასასრული არ ჩანს და რომც გამოჩნდეს, ეს არ იქნება ისეთი სტაბილურობა, რომელიც საჭიროა ქვეყნისთვის. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სუნიტები გაწყვეტენ ქრისტიანებს, აიძულებენ მათ გაიქცნენ ქვეყნიდან, შეავიწროებენ ალავიტებსა და ქურთებს, სუნიტებში მშვიდობა არ დაისადგურებს.

უკიდურესი ჯიჰადი ვერ იტანს არა მარტო სხვა აღმსარებლობის ხალხს, არამედ სხვა სექტის მუსლიმანებსაც. გავიხსენოთ ავღანეთი. საბჭოთა ჯარის გამოსვლის შემდეგ ისლამისტები გაუსწორდნენ პრეზიდენტ ნაჯიბულას (ის დაკოდეს და ჩამოაღრჩვეს) და ერთმანეთს. მუსლიმანთა დაპირისპირებამ ათასობით ადამიანი შეიწირა, გაანადგურა ქაბული. შემდეგ მოვიდნენ უფრო მეტად სასტიკი, „თალიბები“ და გაანადგურეს ისლამისტები. ხომ შეიძლება, რომ მსგავსი რამ მოხდეს სირიაში?

მეამბოხეთა ბანაკში მყარი პოზიციები უკავია „ალ-ქაიდას“ ფილიალს „ჯაბხატ ან-ნუსრას“ და მის მსგავს დაჯგუფებებს, მათ შორისაა ჩრდილო კავკასიიდან და პანკისიდან ჩასულებიც. მათ იცნობენ, როგორც უშიშარ, უმკაცრეს, დაუნდობელ „ბოევიკებს“.

რახანია ერაყიდან, ირანიდან, სხვა ქვეყნებიდან სირიისკენ ჯგუფ-ჯგუფად მიედინებიან როგორც სუნიტი, ისე შიიტი მეომრები, ერთნი – ბაშარ ასადის რეჟიმის დასაცავად, მეორენი – დასამხობად. სირიის ომის გამოძახილი, სუნიტებსა და შიიტებს შორის დაპირების სახით, სხვა ქვეყნებშიც აისახება. დღე ისე არ ჩაივლის, რომ სუნიტთა მიერ ორგანიზებულმა ტერაქტებმა ასობით ერაყელი შიიტი არ შეიწიროს.

„ექვსეულ-ირანის“ ჟენევის ხელშეკრულებამ საფუძველი დაუდო ირანთან არსებული ბირთვული პროგრამის მოწესრიგებას, მაგრამ ამასთანავე, ირიბად, მან შეიძლება სირიის კონფლიქტზეც იმოქმედოს. სირიის საკითხებთან დაკავშირებით ჟენევის კონფერენცია, რომელიც ახლო მომავალში გაიმართება, უდავოდ შეეცდება, გაიზიაროს ირანის პოზიცია, მაგრამ არა, როგორც მტრის, არამედ, როგორც კონფლიქტით დაინტერესებული კონსტრუქციული მხარის, რაც მეტად მნიშვნელოვანია, პროცესის დადებითად წარმართვისთვის.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

**დანაშაული და აღრიცხვა**




# ამორალური სტატისტიკა?!

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა დანაშაულის სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც 2013 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დანაშაულმა 24 პროცენტით იკლო, ხოლო გახსნის მაჩვენებელმა 41 პროცენტით მოიმატა და 60 პროცენტს მიაღწია. საინტერესოა, რა მეთოდოლოგიით იხელმძღვანელა სამინისტრომ და შეესაბამება თუ არა გამოქვეყნებული მონაცემები ქვეყანაში შექმნილ ვითარებას.**

2013 წლის 11 თვის განმავლობაში დანაშაული 8 ათას 500 ერთეულით შემცირდა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, შარშან, დაახლოებით, 35 ათასი დანაშაული მოხდა, წელს კი — მხოლოდ 27 ათასი. ამასთან, მიმდინარე წლის განმავლობაში გაიხსნა 16 ათასი დანაშაული, მაშინ როცა შარშან მხოლოდ — 6 ათას 500. მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის თქმით, ამგვარ ცვლილებას მარტივი ახსნა მოეძებნება: **„წინა წელს, ამ დროს, ცოტა სხვა ვითარება იყო... ეს აშკარაა და გასაგებია, რომ ამ გარემოებამ განსხვავება მოგვცა. ეს ასევე დამსახურებაა ყველა პოლიციელის, ნებისმიერი თანამშრომლისა და მათი თავდადების“.**

კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად რადიო „თავისუფლებამ“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს მიმართა, თუმცა, ნინო გიორგობიანმა განაცხადა, რომ სამინისტრო მეტ განმარტებას აღარ გააკეთებს. არადა, სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია დაჯამებული სახით არის მოცემული და არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა ტიპის დანაშაულმა იკლო ან მოიმატა, როგორი დანაშაულებების გახსნის მაჩვენებელია გაზრდილი. მეტიც, არაფერია ცნობილი დანაშაულის აღრიცხვის მეთოდოლოგიაზე. არალოგიკურია ის, რომ დანაშაულის კლების ფონზე მოსამართლეებს საქმე მოემატათ: **„სასამართლოებში 2013 წელს გაიზარდა განხილული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემებით, პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 2013 წლის 9 თვეში, 2012 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 19.1%-ით მეტი სისხლის სამართლის საქმე განიხილეს. განხილული საქმეებიდან სასამართლოებმა განაჩენი გამოიტანეს 8 726 საქმეზე, რაც გასული წლის მონაცემზე 14.7%-ით, ანუ 873 საქმით, მეტია“.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დეტალური სტატისტიკის გამოქვეყნება 2013 წლის გაზაფხულზე შეწყვიტა. იურისტ ოთო კახიძის თქმით, ეჭვგარეშეა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის დანაშაულის სტატისტიკა პოლიტიკური არგუმენტია. **„მათ აქვთ ამოცანა, რომ წარმატებულ წინამორბედებთან შედარებით არ უნდა დაფიქსირდეს დანაშაულის ზრდა, განსაკუთრებით 10 ათასი პატიმრის გათავისუფლების შემდგომ. ამის გამო სტატისტიკით მიმდინარეობს მანიპულირება. ყველაზე ნათლად სტატისტიკის სიმცდარეზე მიუთითებს გახსნის მაჩვენებლის მატება. Scotland Yard-ს გახსნის მაჩვენებელი აქვს 26-27%, კახა თარგამაძის პოლიციას ჰქონდა 80% და, როგორც ჩანს, ჩვენი პოლიციაც გახსნის ამ მაჩვენებლისკენ მიიწევს“,** — უთხრა ოთო კახიძემ რადიო „თავისუფლებას“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი თითქმის 60 პროცენტია. ოთო კახიძის თქმით, ასევე დაუჯერებელია დანაშაულის 25-პროცენტიანი კლება. მედიაზე დაკვირვებითაც კი შეიმჩნევა დიამეტრულად განსხვავებული ტენდენცია.

კრიმინალურ შემთხვევებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ხშირად გადმოსცემენ ტელევიზიები, თუმცა საინტერესოა, რას ფიქრობენ თბილისელები დანაშაულის სტატისტიკასთან დაკავშირებით — იზრდება თუ იკლებს დანაშაული, მათი დაკვირვებით?

**„ბევრი ადამიანი გამოვიდა ციხიდან, მაგრამ არ არის ისეთი საგანგაშო მდგომარეობა, როგორსაც წინა ხელისუფლება წინასწარმეტყველებდა“,** — უთხრა „თავისუფლებას“ 53 წლის ალექსანდრემ.

**„დანაშაულის რაოდენობამ იკლო, იმიტომ რომ ყველამ, ვისაც ამნისტირება გაუკეთეს, ფიცი დადო. მე მასწავლებელი ვარ და ჩემი ნამოწაფრებიც ურევია მათ შორის და ვიცი, რომ გარკვეული ხანი არაფერს არ გააფუჭებენ“,** — თქვა 63 წლის ნინომ.

**იკლო თუ არა დანაშაულმა? იმისათვის, რომ ამ შეკითხვას მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი გაეცეს, საჭიროა თვისებრივი ცვლილებების გატარება. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის გია მეფარიშვილის თქმით, დანაშაულის რეგისტრაციისა და გახსნის კოეფიციენტის დაანგარიშების საქმეში რთული ვითარებაა შექმნილი, რადგანაც კვლევას, შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდა, ასევე აწარმოებს სტატისტიკის დეპარტამენტი და პროკურატურა, მათი შედეგები კი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს არ ემთხვევა.** გია მეფარიშვილის თქმით, **დანაშაულის სტატისტიკა, ეგრეთ წოდებული „მორალური სტატისტიკა“, უნდა აწარმოოს დამოუკიდებელმა სახელმწიფო სტრუქტურამ.**

**„იუსტიციის სამინისტროს უფრო ხელეწიფება ეს, რადგანაც არ არის დაინტერესებული არც გამოძიებითა და არც მოკვლევის შედეგებით, არც ოპერატიული სამსახურის მონაცემებით. მან უნდა აღრიცხოს, დაალაგოს და სისტემატიზაცია გაუკეთოს ამ მაჩვენებლებს. 90-იანი წლების დასაწყისში, თედო ნინიძის იუსტიციის მინისტრობის დროს, ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადაიდგა და მაშინ შესაბამისი კრებულებიც კი გამოდიოდა. „მორალური სტატისტიკა“ — ასე ერქვა კრებულს, რომლებიც მაშინ გამოდიოდა. იქნებ, უმჯობესია დავუბრუნდეთ ამას და შევქმნათ ისეთი სისტემა, რომელიც ეჭვსა და კითხვებს აღარ წარმოშობს“,** — უთხრა გია მეფარიშვილმა რადიო „თავისუფლებას“.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი**

**სკანდალური განცხადება**

# „21 000 ადამიანი ისმინება და სმარტფონის მქონე მოქალაქეები კონტროლდებიან“

**(მეორე გვერდიდან)**

მისი თქმით, ნაციონალების დროს მოსმენები გამოყენებული იყო ბევრი საქმის „ასაწყობად“ და პოლიტიკურ ოპონენტებზე სათვალთვალოდ. ეს იყო პოლიტიკური შეკვეთა. ახლა კი მოსმენებს დამნაშავეების წინააღმდეგ მთავარ საფუძვლად არ იყენებენ. ამიტომ აჟიოტაჟის მიზეზი არ არსებობს.

რაც შეეხება ამერიკას, იქ უსმენენ ყველას და ყველაფერს, ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე და ეს ხორციელდება ანტიტერორისტული კამპანიის ფარგლებში, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ინფორმაციები იპარება პირად საუბრებში, პირად მიმოწერაში. ნაკლები ტერორისტული საფრთხეების მქონე ქვეყნებში კი მოსმენები ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს ნებართვით.

**„თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას, ისეთი ბაზები შეიქმნას, რომ, საერთოდ, შეუმჩნეველი დარჩეს ადამიანის მოსმენა. ამას წინ ვერაფერი აღუდგება. ინტერნეტსივრცე, რომელიც ძალზე პოპულარული გახდა, საშუალებას იძლევა, კვალის გარეშე მოხდეს ადამიანების მიყურადება. თუმცა, ახლა მაინც ღია საზოგადოებაა და, პირად ცხოვრებას თუ არ ჩავთვლით, მიმოწერაში იმდენად თავისუფალია დღევანდელი ადამიანი, რომ საიდუმლო და დასამალი არაფერი აქვს, თუ არ აპირებს კრიმინალის ჩადენას. ამიტომ არა მგონია, ეს დიდი ტვირთი იყოს საზოგადოებისთვის. სულ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ და ჩვენ თვითონ ავირჩიეთ ცხოვრების ეს წესი. ვისაც ფეისბუკის გვერდი აქვს, ის ისედაც საჯაროს ხდის თავის ცხოვრებას. ამიტომ ერთით მეტს წაიკითხავენ მის შესახებ, თუ ერთით ნაკლებს, ამაში პრობლემა არ უნდა იყოს“,** — აღნიშნა გიორგი თავდგირიძემ.

„სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლი — საქართველოს ცენტრის“ თავმჯდომარე ბესიკ ალადაშვილი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ სპეცსამსახურების საქმიანობა მხოლოდ ადამიანების უფლებების დარღვევაში ან დაცვაში არ გამოიხატება. უპირველესად, ეს არის ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტი და ამ კუთხით არავინ აშუქებს სპეცსამსახურების საქმიანობას. უბრალოდ, პრობლემაა ის, რომ საზოგადოებას არ აქვს რეალური კონტროლის მექანიზმი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ სპეცსამსახურების მოქმედებების და გაკონტროლებისთვის. კანონის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების უფლება დღეს ცხრა სამინისტროს თუ უწყებას ეძლევა, ამ ცხრა უწყებაში კი ძალიან ბევრი ქვეუწყება გაერთიანებული. ამდენად, ტექნიკურად მოსმენები შესაძლებელია. თუმცა ვანგა უნდა იყოს ადამიანი, რომ ზუსტად გათვალოს, 21 ათასს უსმენენ თუ 25 ათასს.

ბესიკ ალადაშვილის განმარტებით, ნაციონალებმა უკანასკნელი 5-6 წლის მანძილზე (განსაკუთრებით 2007 წლიდან) საკმაოდ დიდი მოცულობის, ძირითადად, ჩინური მოსასმენი ტექნიკა შემოიტანეს, რომლითაც გაიოლდა ფარული მოსმენები მობილური ტელეფონებიდან, ფიჭური კავშირგაბმულობიდან.

**„დღემდე არსებობს საფრთხე, რომ ვიღაცამ, პირადი თუ სხვა მიზნების გამო მოახდინოს ადამიანების მოსმენა, ჩაწერა და სხვა. კონტროლის მექანიზმის უქონლობის გამო, ჩვენ დამოკიდებულნი ვართ სამართალდამცავების და სპეცსამსახურების თანამშრომელთა კეთილსინდისიერებაზე. ამიტომ, ერთი თვის წინ ჩამოყალიბებული ჩვენი ცენტრის მიზანია, საჯარო და გამჭვირვალე გახადოს სპეცსამსახურებისა და რიგითი მოქალაქეების ურთიერთობა. ადამიანის უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია, მაგრამ აქვე უნდა გავაანალიზოთ, ასრულებენ კი საქართველოს სპეცსამსახურები ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დაცვის ამოცანებს?! სად მიდის გადასახადის გადამხდელების ფული, როგორ იხარჯება სპეცსამსახურების ბიუჯეტი?! სამწუხაროდ, ფიქცია იყო ფარულ ჩანაწერთა ვითომ განადგურება, რადგან მათი ასლები შანტაჟის საშიშროებას კვლავაც იძლევა,“** — აცხადებს ბესიკ ალადაშვილი.



მისი თქმით, რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ის სპეცსამსახურები რამდენიმე მილიონ და შეიძლება, რამდენიმე მილიარდ მობილურ ტელეფონს და ადამიანების ადგილსამყოფელს აკონტროლებდნენ. ანუ ტექნიკურად ეს შესაძლებელია და მხოლოდ ფინანსებზე და ძლიერ კომპიუტერულ უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება საქართველოს, ბესიკ ალადაშვილის თქმით, პრობლემაა, რომ არავინ აგო პასუხი ფარული თუ გახმაურებული სატელეფონო მოსმენების, ელექტრონულ ფოსტაში (მათ შორის, ბიძინა ივანიშვილის კომპიუტერში) შეღწევის გამო. რეალურად, ჩვენ ვიმყოფებით ბნელ ოთახში და არ ვიცით, იქ რა ხდება. ეს კი გაგრძელდება მანამ, სანამ საზოგადოებას არ ექნება რეალური კონტროლი სამართალდამცავ სტრუქტურებსა და სპეცსამსახურებზე.

**„საქართველოს, ევროპის, რუსეთის, ამერიკის და სხვა ქვეყნების კანონმდებლობა მობილურ ოპერატორებს ავალდებულებს, სპეცსამსახურების დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდონ მობილური ტელეფონის მფლობელების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია. მათ შეუძლიათ, გახსნან მესიჯები. თუმცა, საინტერესოა, ოპერატიულ სამძებრო საქმიანობაზე რამდენად ხორციელდება საპროკურორო და სასამართლო ზედამხედველობა. ფაქტობრივად, დღეს დაუსჯელობის სინდრომია. ამიტომ, შესაძლებელია, არაკეთილსინდისიერი ხელმძღვანელის სიტყვიერი ბრძანებითაც კი, ხელქვეითებმა ფარული მოსმენები აწარმოონ, როგორც ეს ნაციონალების დროს ხდებოდა. ამის აღმოსაფხვრელად კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს საპარლამენტო ზედამხედველობა. ინსტიტუციონალურად, ისე უნდა იყვნენ სპეცსამსახურები მოწყობილნი, რომ ოპერატიული მოსმენების დროს არ დაიმალოს კანონდარღვევა“,** — აცხადებს ბესიკ ალადაშვილი.

**მანანა ნოზაძე**

## პოლიტიკური ცხოვრების პარადოქსები



# ჯუჯა პარტიათა რენესანსი საქართველოში

**ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ბუნებრივ დისკურსად იქცა: „რა მოიტანა ბიძინამ?“ რეალურად ძალიან ბევრი რამ! თანაც მნიშვნელოვანი და არსებითი. მათ შორის სიახლის ან „კარგად დავიწყებული ძველი თვალსაზრისი. სხვა საქმეა, რამდენად (და რა) კარგი, სასარგებლო, პროგრესული და რამდენად — ძველი, ხავსმოდებული და დიდი ხნის წინ ყავლგასული ქვეყნისა და საზოგადოების რეალური ინტერესებიდან გამომდინარე.**

ბიძინას ერთ-ერთი „ნატანია“ მედიის თავისუფლება, მისი დახსნა თვითცენზურებისა და სახელისუფლებო ანგაჟირების წნეხისაგან. ოღონდ, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, — როდესაც ივანიშვილის ხანმოკლე პოლიტიკური მოღვაწეობის შედეგებთან გვაქვს საქმე, — ეს ტენდენციაც არ არის ერთმნიშვნელოვანი. და საერთოდ, ალბათ, მოვიდა დრო მივხვდეთ და შევეგუოთ, რომ როდესაც საქმე მასშტაბურ საზოგადოებრივ პროცესებს, მით უმეტეს პოლიტიკას ეხება, იქ ერთმნიშვნელოვნებისთვის დიდი სივრცე არ რჩება, რაკი მეტისმეტად ბევრი რამ სუბიექტურ აღქმაზე ხდება დამოკიდებული. არადა, ამგვარ აღქმასაც აქვს თავისი ზღვარი, თუკი საქმე აშკარა რეგრესთან გვაქვს. ამ ზღვარის შემდეგ კი ობიექტური შეფასება იწყება.

* * *

**საქართველოს ტელესივრცე თანდათან ემსგავსება შევარდნაძის დროინდელს, როდესაც ყველა ცალკეული ბიზნეს-პოლიტიკურ ჯგუფი ფლობდა მედია-რესურსს და მას, რასაკვირველია, საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად იყენებდა. ხოლო ტელე-მედია, თავის მხრივ, ცდილობდა, ეს ინტერესიც დაეკმაყოფილებინა და, იმავდროულად, მისთვის დადგენილ ჩარჩოებში (ოღონდ მხოლოდ ამ ჩარჩოებში) თვითკმარიც ყოფილიყო, ესე იგი მუდმივად ეძებნა სკანდალები, „ცხელი თემები“, მოეწყო დებატები და დისკუსიები, — მათი ჩხუბში, აურზაურში, ესე იგი „სანახაობაში“ გადაზრდის ინტენციით.**

ტენდენციას, რაც ჩვენს თვალწინ მხოლოდ ახლა ვითარდება და ძალიან შორსმიმავალი შედეგები ექნება, ერთი კონკრეტული გამოხატულება უკვე აქვს: აშკარად შეფერხდა საქართველოში ნორმალური მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი. კონკრეტული მაგალითია მწვავე დისკუსია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით. დავაკვირდეთ მედია სივრცეს. პირველ რიგში ე.წ. „თოქ-შოუთა“ დრამატურგიასა და რეჟისურას: დისკუსიებში მონაწილეობენ ერთი მხრივ მმართველი კოალიციის წარმომადგენლები, მეორე მხრივ კი ორ-სამკაციანი „პარტიები“, რომლებსაც არ გააჩნიათ არანაირი წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში. თანაც, ხშირ შემთხვევაში, არა მხოლოდ დღეს და ამჟამინდელ კონფიგურაციაში, არამედ არც არასდროს ჰქონიათ სერიოზული წონა.

ნორმალური, თუნდაც განვითარებადი დემოკრატიისთვის ამგვარი სიტუაცია აბსოლუტურად არაბუნებრივია. წარმოუდგენელია, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პარლამენტი მსჯელობდეს რაიმე კანონპროექტზე და მმართველი პარტიის დეპუტატები საჯარო დისკუსიაში მონაწილეობდნენ, ვთქვათ, ინგლისის „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ წარმომადგენლებთან, რომლებსაც არც ერთი დეპუტატი არ ჰყავთ საკანონდებლო ორგანოში. თუ იკამათებენ, იკამათებენ მხოლოდ იმათთან, ვისაც რეალური გავლენის მოხდენა შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილებაზე, ან, როგორც მინიმუმ, ითვლება საპარლამენტო ოპოზიციად. ესე იგი, კონსერვატორები იკამათებენ ლეიბორისტებთან და პირიქით. სხვებს კი არაფრის დიდებით „თავს არ გაუყადრებენ“ ისევ და ისევ იმ მიზეზით, რომ „იმათ“ არ დაუმტკიცებიათ საზოგადოებრივი წარმომადგენლობა და „წონა“ არჩევნების შედეგად.

სხვა კრიტერიუმი იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად სერიოზულია ესა თუ ის პოლიტიკური ძალა, უბრალოდ არ არსებობს. ამიტომაც შემოიტანეს ევროპელმა მრჩევლებმა ჩვენში კვალიფიციური პარტიის ცნება.

* * *

**მაგრამ რაკი მედიას, გათავისუფლების პროცესში, დასჭირდა საინფორმაციო სივრცის მაქსიმალური დატვირთვა პოლიტიკით (თუ რატომ არის ეს თემა ესოდენ „ხვავრიელი“ ჩვენს მეტისმეტად პოლიტიზებულ საზოგადოებაში - კიდევ სხვა საკითხია) საინფორმაციო სივრცე შეავსეს ორ-სამკაციანმა „ჯუჯა-პარტიებმა“, რომლებიც სინამდვილეში არ გამოხატავენ საზოგადოების რაიმე მნიშვნელოვანი სეგმენტის მისწრაფებებს, ღირებულებებს, ინტერესებს, დამოკიდებულებასა და პოზიციას.**

აქვე ორგზის არანორმალურია, როდესაც მმართველი ძალა სატელევიზიო დისკუსიაში ერთვება ე.წ. „ექსპერტებთან“. არსად, არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში ამგვარი რამ არ ხდება: ექსპერტები კამათობენ მხოლოდ სხვა ექსპერტებთან, ხოლო ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხის მფლობელი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, — იმავე კატეგორიის, თუმცა შედარებით ნაკლები ელექტორალური და საზოგადოებრივი მხარდაჭერის მქონე პოლიტიკოსებთან.

ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, ქართული მედია, საკუთარი კორპორატიული ინტერესებიდან გამომდინარე, ობიექტურად ხელს უწყობს არა პარტიული სისტემის დაწმენდას, პარტიათა გამსხვილებას, მათ ქცევას კონკრეტულ სოციალურ ჯგუფთა ინტერესების გამომხატველ პოლიტიკურ „აგენტებად“, არამედ იმ მანკიერი სისტემის შენარჩუნებას, როდესაც „ჯუჯა-პარტიები“ რეალურად არც ერთი სოციალური ჯგუფის ინტერესებს არ გამოხატავენ, საამისოდ თავსაც არ იწუხებენ, მაგრამ მედიის მეშვეობით აქვთ არაადექვატურად დიდი გავლენა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებსა და ლეგიტიმური ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე.

ამით მედია ლეგიტიმურობას სძენს, ანუ, ჟარგონით თუ ვიტყვით, „აპრავებს“ ისეთ ჯგუფებს, რომლებსაც საკუთარ ლიდერთა ტლიკინის უნარისა და გაუთავებელი დემაგოგიის გარდა, არაფრით დაუმტკიცებიათ თავიანთი საზოგადოებრივი წარმომადგენლობა.

თავისი ვიწრო-პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, პროცესს ხელს უწყობს მმართველი კოალიციაც, რადგან თუ პლურალიზმის განვითარება სურთ, საუკეთესო გზა იქნებოდა არა „მოლაყბეთა ლეგიონის“ წარმომადგენლებთან გაუთავებელ, თანაც სრულიად ფუჭ კინკლაობაში ჩაბმა, არამედ, მაგალითად, საარჩევნო ბარიერის დაწევა ხუთიდან თუნდაც ორ პროცენტამდე, რაც საშუალებას მისცემდა მეტ-ნაკლებად პოპულარულ ჯგუფებს, მოხვედრილიყვნენ პარლამენტში და მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსია პოლიტიკურად ლეგიტიმურ მოედანზე გაემართათ, ნაცვლად „თოქ-შოუთა“ წამყვანებთან „დღეს საღამოს“ მიწვევა-არმიწვევაზე „ჩაწყობის“ ყოველდღიური საზრუნავისა.

**ნიკა იმნაიშვილი**

## ქუთაისი

# საპარლამენტო დედაქალაქის საკრებულოს საკონკურსო კომისიას წევრები ტოვებენ

**ძველი ხელისუფლების პირობებში პრეზიდენტი დანიშნავდა თუ არა რომელიმე ქალაქის მერს, უმალ კადრების გადახალისება იწყებოდა. არავის ჰქონდა ახლადდანიშნულთა კვალიფიკაციის, გამოცდილების შემოწმებაზე სიტყვის თქმის უფლება. ინიშნებოდნენ არაპროფესიონალები ნათელ-მირონობით, ძმაკაცობით, ჩაწყობითა და არა მხოლოდ ლამაზი თვალებისთვის...**

ქუთაისში ამჟამად მოქმედი საკრებულოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია 7-კაციანია, მათი მოვალეობაა შეარჩიონ ვიცე-მერების, სამსახურების უფროსებისა და ა.შ. კანდიდატურები.

ვაკანტური თანამდებობების შესარჩევად კონკურსი 20 აგვისტოს დაიწყო. 52 ვაკანტურ ადგილზე 1291 განაცხადი იყო შესული. პირველ ეტაპზე მოხდა ვიცე-მერების, ამჟერად, კი მიმდინარეობს სხვა მაღალი თანამდებობის პირთა კანდიდატურების შერჩევა. 20 ნოემბერს გაიმართა მორიგი სხდომა და დაიწყო შერჩევის მეორე ეტაპი. დაიწყო თუ არა ის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მღვდელაძემ კომისია დატოვა. მან ეს ნაბიჯი იმით ახსნა, რომ აღარ სურს კულუარულ გარიგებებში მონაწილეობა, ცოტა მოგვიანებით კი კომისიიდან წამოსვლის მიზეზიც დააკონკრეტა. იგი თვლის, რომ საქართველოს „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი გოჩა თევდორაძე ყველა საშუალებით ცდილობს, ზეწოლა მოახდინოს საატესტაციო-საკონკურსო კომისიის მუშაობაზე, განსაკუთრებით კანდიდატების შერჩევის პროცესზე. მ. მღვდელაძეს გადაუდებლად მიაჩნია კომისიის დაშლა და ახალი წევრებით დაკომპლექტება ისეთი ხალხით, რომელიც არ იქნება თევდორაძის გავლენის ქვეშ. ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე აცხადებს, რომ თუ საჭირო იქნება საკრებულოსაც დატოვებს და კომისიის წევრებს მოუწოდებს, მას მიბაძონ.

მის ქმედებებსა და განცხადებაზე რეაგირება უმალ მოახდინეს კომისიის წევრებმა. ისინი აცხადებენ, თუ ის ამდენი ხნის განმავლობაში აწყდებოდა უკანონობას და მუდმივ ზეწოლას განიცდიდა, აქამდე სად იყო, ხმას რატომ არ იღებდაო. ახლა, როდესაც კონკურსი დასკვნით ფაზაში შევიდა, მაშინ მოაგონდა სამართლიანობა, თუ პასუხისმგებლობას გაურბისო, — მრავალმნიშვნელოვნად კითხულობენ კომისიის წევრები.

მღვდელაძის განცხადებას გამოეხმაურა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი გოჩა თევდორაძე. მისი განმარტებით, ქუთაისის საკრებულოსა და მის გარშემო , არასწორი ინფორმაცია მიდის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, ქვეყნის №1 „პატრიოტის“ მტკიცებით ყველაფერი არის ადგილობრივი უშიშროებისა (რომელ სტრუქტურას გულისხმობს, საინტერესოა — **ზ.ბ**) და პრემიერ-მინისტრის მრჩევლის ირაკლი მელაშვილის ინდივიდუალური „შემოქმედების“ შედეგი, თევდორაძეს თურმე მიუღია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მღვდელაძე რამდენიმე დღის წინათ დაბარებული ყოფილა ტაბიძის ქუჩაზე უშიშროების სამსახურში (ვერ გაიგო ამ პოლიტიკურმა ლიდერმა, რომ საქართველოში უშიშროება, როგორც სახელმწიფო სტრუქტურა, აღარ არსებობს, ის ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებამ კარგა ხნის წინათ გააუქმა, მაგრამ რა ვუყოთ, კაცი ბავშვობაშია ჩარჩენილი. — **ავტ.**).

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერს ეჭვები გასჩენია, რომ სახელისუფლებო გარკვეული ძალები ყოველმხრივ ცდილობენ, ჩაძირონ თევდორაძე და მისი პოლიტიკური ორგანიზაცია, მაგრამ ამას ვერ მოესწრებიან, — აცხადებს ჩასაძირად სხვების მიერ განწირული („თავს არ მოიკლავს ქართველი არა“ — **ზ.ბ.**).

მოვა ადგილობრივი არჩევნები და ვნახოთ, ვინ ჩაიძირება თევდორაძის დაქადნებაზეო, ენაკვიმატობენ ქუთათურები.

**ზაზა ბილიხოძე**

## ალიან-ჩალიანი

# წყალმომარაგებას აზიური ტრანში მოგვიგვარებს

**აზიის განვითარების ბანკმა საქართველოში წყალმომარაგების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში მესამე ტრანში დაამტკიცა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს წყალმომარაგების გაერთიანებული კომპანიიდან აცნობეს, ტრანშის რაოდენობა 98 მილიონი დოლარია. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი არჩილ ცაბუტაშვილი აზიის განვითარების ბანკის მისიის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე მესამე ტრანშის ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოები განიხილეს.**



**III ტრანშის ფარგლებში დაფინანსდება ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები და ურეკის წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების მშენებლობა. III ტრანში ასევე ითვალისწინებს ინვენტარის შეძენას, კერძოდ, კანალიზაციის საწმენდ მანქანას და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისთვის ლაბორატორიულ აღჭურვილობას.**

**ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისთვის პროექტის ფინანსური სახსრები გაყოფილია ორ ეტაპად. II ტრანშიდან დაფინანსებული იქნება ქუთაისის სარეაბილიტაციო სამუშაოების მე-2 ფაზა. ორივე ფაზის შედეგად შემცირდება წყლის დანაკარგი, ვინაიდან ყველა ძველი მილი გამოიცვლება.**

**II ფაზის მთავარი მიზანია რეზერვუარების და სატუმბი სადგურების მშენებლობა. III ტრანშის ფარგლებში ასევე დაფინანსდება ურეკის წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების მშენებლობა. ამჟამად, ურეკის და შეკვეთილის მოსახლეობა სარგებლობენ ჭებით. ურეკში და შეკვეთილში არ არსებობს საკანალიზაციო სისტემა. ამ პროექტით წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელი მოამარაგებს ყველა სასტუმროს და საცხოვრებელ ზონას ურეკში და შეკვეთილში. პაკეტი ითვალისწინებს ჭაბურღილების, რეზერვუარების, სატუმბი სადგურის, მაგისტრალური გადამცემის და გამანაწილებელი ქსელის მშენებლობას, რომელიც 2015 წელს დაიწყება.**

**პროექტის დასრულების შემდეგ ურეკისა და შეკვეთილის მოსახლეობა 24-საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს.**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ნულანდი დაგვპირდა საქართველო რუსეთის პირისპირ არ დატოვოს

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ვიქტორია ნულანდმა პარასკევს საქართველოში გამართა შეხვედრები ყველა ხელმძღვანელთან — პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან. დიპლომატი კიევიდან ჩამოვიდა და საქართველოს დედაქალაქში შეხვედრების დამთავრების შემდეგ მოსკოვს გაემგზავრება. როგორც ნულანდმა განაცხადა, იგი მოხარულია, მიულოცოს ქართველ ხალხსა და საქართველოს მთავრობას 27 ოქტომბერს პრეზიდენტის სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების გამართვა და 29 ნოემბერს ვილნიუსში ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების პარაფირება.**

**თბილისი შეეცდება, უკრაინის მოვლენები ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისი დაახლოებისთვის გამოიყენოს**

საქართველოს იმედი აქვს, რომ თავად შეთანხმებას ევროკავშირთან ხელს მოაწერენ ერთი წლის შემდეგ. თითქმის ყველა ადგილობრივი პოლიტიკოსი და ექსპერტი დარწმუნებულია, რომ ამ პერიოდში რუსეთი მოახდენს საქართველოზე ზემოქმედებას, რათა იგი გადმოვიდეს ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოების კურსიდან. „უკრაინის ვარიანტის“ დაუშვებლობისთვის თბილისს იმედი აქვს, რომ ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები გაზრდიან ყურადღებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პრობლემებისადმი.

პროფესორმა კონსტანტინე ჟღენტმა, რომელიც თბილისის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში კითხულობს დიპლომატიის თეორიასა და პრაქტიკას, ჩვენთან საუბარში განაცხადა, **რომ „ნულანდის ვიზიტი — ეს არის უშუალო გამოხმაურება კიევში მიმდინარე მოვლენებზე“.**

**— ამერიკის შეერთებული შტატები კიდევ ერთხელ უნდა დარწმუნებულიყო, რომ ქართული პოლიტიკის მთელი სპექტრი და ქვეყნის საზოგადოებრიობა მხარს უჭერს მოძრაობას ევროპისკენ,** — თქვა ექსპერტმა. **— ეს კეთდება იმისთვის, რომ ვაშინგტონში განწყობილი არიან იმისთვის, რომ გაიგონ, კერძოდ, რა დახმარება დასჭირდება თბილისს ამ გზაზე.**

ჟღენტის სიტყვებით, გარკვეულ პოზიტიურ სიგნალებს საქართველო მიიღებს ნატოს სამიტზე დიდ ბრიტანეთში 2014 წელს.

**— ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შეუძლია მოიფიქროს რაიმე ახალი პროგრამები საქართველოს დასახმარებლად,** — მიაჩნია პროფესორს.

2008 წელს ნატოში ბლოკის სამიტზე ბუქარესტში საქართველოს დაჰპირდნენ ამ ორგანიზაციის წევრობას, მაგრამ კონკრეტული თარიღების გარეშე. საქართველოს „წევრობის მოქმედების გეგმაც“ კი არ მიუღია — თანამშრომლობა ემყარება ყოველწლიურ პროგრამებს.

მომავალ კვირას ამერიკელი და ქართველი სპეციალისტები განიხილავენ თანამშრომლობის დეტალებს 2014 წელს სამხედრო სფეროში. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ვიქტორია ნულანდთან შეხვედრის შემდეგ 6 დეკემბერს განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იქნება იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც მაქსიმალურად დაუჭერენ მხარს საქართველოს შესვლას ნატოში. ასევე განიხილეს საქართველოს მისია ნატოს ოპერაციაში ავღანეთში. 2014 წელს საქართველო იქ შეინარჩუნებს თავის კონტინგენტს (1675 სამხედრო მოსამსახურეს, რაც ყველაზე მეტია იმ ქვეყნებს შორის, ვინც ალიანსის წევრი არ არის). მოგვიანებით ქართველი სპეციალისტები შეიტანენ თავიანთ წვლილს ავღანელი სამხედროებისა და პოლიციელების მომზადებაში. როგორ შეუთავსონ ერთმანეთს პროდასავლური კურსი და რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება — ეს საკითხი დიდად აღელვებს თბილისს.



**საქართველოს ხელისუფლება შეეცდება, მაქსიმალურად დაიცვას ბალანსი — შეინარჩუნოს სტრატეგიული პროდასავლური კურსი, ამასთან ერთად არ მიაყენოს ზიანი რეგიონში რუსეთის უშიშროების ინტერესებს,** — უთხრა ჩვენს გაზეთს ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორმა გულბაათ რცხილაძემ. **— თბილისი ყოველნაირად შეეცდება, თავი აარიდოს კონფლიქტურ სიტუაციებს რუსეთის მხრიდან.**

ექსპერტის სიტყვებით, **მთავრობის ამჟამინდელი ხელმძღვანელი ირაკლი ღარიბაშვილი და პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი — რუსეთის არც მეგობრები არიან და არც მტრები. ისინი უბრალოდ პრაგმატიკოსები არიან, რომლებიც შორს დგანან ავანტურიზმისგან, რაც დამახასიათებელი იყო ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის.**

ვიქტორია ნულანდმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს გადასცა ასევე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას მილოცვა ამ პოსტზე დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს ელჩმა ვაშინგტონში არჩილ გეგეშიძემ გვაცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი დაგვპირდა, ჩამოვიდეს საქართველოში არაუგვიანეს მომავალი გაზაფხულისა ქვეყნის პროდასავლური კურსის მხარდასაჭერად. ამერიკა ყველა შესაძლებელს გააკეთებს, რომ საქართველოს მოძრაობა ევროინტეგრაციის გზაზე იყოს ეფექტიანი, აღნიშნა ელჩმა.

**დიპლომატიური არხებით უკვე განიხილება ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის შესაძლო ვიზიტები.**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# დედამიწის ზურგზე



## ისრაელის პრემიერი არ წავა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ნელსონ მანდელას პანაშვიდზე: ძალიან ბევრი ხარჯია

**გამოთხოვების ცერემონია გაიმართება 10 დეკემბერს იოჰანესბურგის სტადიონზე. 50-ზე მეტი ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა ისურვა მიიღოს მასში პირადი მონაწილეობა. აი, ჩეხეთში კი სკანდალი გაიმართა, როდესაც პრემიერმა, ვინც არ იცოდა ჩართული მიკროფონის შესახებ, თქვა, რომ იმედი აქვს თავიდან აიცილოს „მომქანცველი გადაფრენა“.**

## „ნასამ“ მზეზე მაგნიტური გადატრიალების ვიდეო გამოაქვეყნა




**მეცნიერებმა ჯერჯერობით ბოლომდე არ იციან, თუ როგორ ყალიბდება ვარსკვლავის მაგნიტური ველი, ამიტომ არ შეუძლიათ, მოგვცენ ზუსტი პროგნოზი, თუ, კერძოდ, როდის მოხდება პოლუსების მორიგი ცვლა. შესაძლებელია, უახლოეს პერიოდში. ერთი კი ცხადია ზუსტად: ჩვენი მანათობელი მიდის ყველაზე აქტიურ პერიოდთან, და ლაქების, აფეთქებებისა და კორონალური გამონაბოლქვების რიცხვი გაიზრდება.**

## უკრაინაში მრავლდება ბარიკადები და ანტირუსული განწყობილება

**რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება მოვლენებს არ აფიქსირებს, მას ესმის, თუ რა რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი. მაგრამ უკრაინელი ოპოზიციონერები დარწმუნებული არიან, რომ სოჭში 6 დეკემბერს ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკების დროს იანუკოვიჩი დაჰპირდა, რომ უკრაინა შევა საბაჟო კავშირში. ხელშეკრულების ხემოწერების ზუსტ თარიღსაც კი ასახელებენ.**

## ტაილანდის პრემიერმა გამოაცხადა პარლამენტის დათხოვნის და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შესახებ

**ქვეყნის პარლამენტის დეპუტატების ვადამდელი არჩევნები, როგორც ელოდებიან, დათხოვნიდან 60 დღის განმავლობაში გაიმართება. მაგრამ ოპოზიციამ განაცხადა, რომ უარს არ იტყვის თავის გეგმებზე, მოაწყოს ორშაბათს „მშვიდობიანი რევოლუცია“ პარლამენტის დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების გამო. ბანგკოკის ქუჩებში ოპოზიციის მხარდასაჭერად უკვე 50 ათასზე მეტი კაცი გამოვიდა.**



№238. სამშაბათი, 10 დეკემბერი, 2013 წელი.

# ცვლილებები საქართველოს შრომის კოდექსში

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი**

**ჩვენი გაზეთის 26 სექტემბრის ნომერში მოცემული პირობისა და მკითხველებისგან მიღებული ახალი შეკითხვების გათვალისწინებით, ვაგრძელებთ საუბარს საქართველოს ორგანულ კანონში – შრომის კოდექსში 2013 წლის 4 ივლისიდან შეტანილ ცვლილებებსა და დამატებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.**

**ამჟერად, ყველაზე მეტი შეკითხვა სამუშაო დროის განსაზღვრას, ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურებას, შვებულებას (მათ შორის – ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო), შრომის ანაზღაურებიდან დაქვითვის კანონიერებას, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას, შრომითი ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს ეხება.**

**განვმარტავთ, რომ სამუშაო დრო სამართლებრივად დროის ის ხანგრძლივობაა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებულმა უნდა შეასრულო სამსახურებრივი მოვალეობები შრომის შინაგანაწესის შესაბამისად. თუ 2013 წლის 4 ივლისამდე, დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო კვირის ხანგრძლივობა იყო 41 საათი, შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ, იგი გაუთანაბრდა საჯარო მოსამსახურეთა (იგივე სახელმწიფო მოხელეთა) პირობებს, შემცირდა 1 საათით და გახდა 40 საათი. ამავე დროიდან დაწესდა, რომ სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს, სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს. ამასთან, სამუშაო დროში არ ჩაითვლება შესვენების და დასვენების დრო.**

**კითხვა: როგორ გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც დამსაქმებლის საქმიანობა ითვალისწინებს წარმოების/შრომითი პროცესის 24-საათიან უწყვეტ რეჟიმს?**

**ვახტანგ გიორგაძე**

**პასუხი:** ასეთ შემთხვევაში მხარეები (დამსაქმებელი და დასაქმებული) უფლებამოსილი არიან, დადონ შრომითი ხელშეკრულება ცვლაში მუშაობის შესახებ, ისე, რომ სამუშაო დღეებს (ცვლებს) შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.

მსოფლიოში ყველაზე მეტად არის გავრცელებული სამუშაო კვირის 5-დღიანი ხანგრძლივობა. როგორც 2013 წლის 4 ივლისამდე, ისე მასში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შემდეგაც, საქართველოს შრომის კოდექსი თუმცა, არ არღვევს აღნიშნულ წესს სამუშაო კვირის ხანგრძლივობის განსაზღვრის თვალსაზრისით, მაგრამ არც იმას აწესებს, რამდენ დღეს უნდა შეადგენდეს სამუშაო კვირა, ამიტომ ჩვენს ქვეყანაში სამუშაო დღის ხანგრძლივობა შეიძლება განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რამდენდღიანი სამუშაო კვირა არის დადგენილი დამსაქმებლის მიერ.

**კითხვა: თუ შეიძლება, აგვიხსენით, ვინ განსაზღვრავს ახალ შემოღებული სპეციფიკური დარგების ჩამონათვალს?**

**ელენე შონია**

**პასუხი:** სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

როგორც ძველი, ისე მოქმედი შრომის კოდექსით გათვალისწინებულია სამუშაო დროის მომწესრიგებელი სპეციალური მე-4 თავი, რომელიც არეგულირებს სამუშაო და დასვენების დროს, ხოლო შესვენებასთან დაკავშირებულ ნორმებს საერთოდ არ მოიცავს.

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, ითვალისწიებს თუ არა მოქმედი შრომის კოდექსი სამუშაო დროის შემცირებულ ხანგრძლივობას არასრულწლოვნი (18 წლამდე ასაკის) და მძიმე და მავნე პირობებში მომუშავე დასაქმებულთათვის?**

**პასუხი:** დიახ, ახალი შრომის კოდექსში შეტანილია გარკვეული ცვლილებები ამ მიმართებით, რის საფუძველზეც: 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა – კვირაში 24 საათს. რაც შეეხება მძიმე და მავნე პირობებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დროს, აღნიშნულის შესახებ კოდექსში არაფერია ნათქვამი.

მოქმედი შრომის კოდექსის თანახმად, ცვლაში მუშაობა და ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა განისაზღვრება ცვლიანობის განრიგით, რომელსაც ამტკიცებს დამსაქმებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით. ცვლიანობის განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ დასაქმებულს უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე, თუ ეს შეუძლებელი არ არის უკიდურესი საწარმოო აუცილებლობის გამო.

სამუშაო დროის რეჟიმი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს კერძო სექტორში დასაქმებულთათვის. თანამშრომელი სამსახურში შეიძლება გამოცხადდეს უფრო გვიან, ვიდრე ზოგადად არის დადგენილი ან სამსახურიდან წავიდეს უფრო ადრე. მთავარია, იგი სამუშაო ადგილზე უნდა იყოს იმ საათებში, რომლებსაც სავალდებულოდ დააწესებს დამსაქმებელი. ყველა შემთხვევაში, დასაქმებულმა სამსახურში უნდა დაჰყოს კვირაში, თვეში ან კვარტალში დადგენილი დროის მონაკვეთი.

ამჟამად შეიძლება მრავალი სახის სამუშაო დასაქმებულის საცხოვრებელ ადგილზე შესრულდეს და შედეგები გაეგზავნოს დამსაქმებელს ელექტრონული ფოსტით. ამავე ელექტრონული საშუალებით - კომპიუტერული ქსელით შეიძლება გაკონტროლდეს იმყოფება თუ არა დასაქმებული სამუშაო ადგილზე. სამუშაო დროის რეჟიმი შეიძლება იყოს მრავალცვლიანი: ორცვლიანი, სამცვლიანი და ზოგჯერ ოთხცვლიანიც კი (საჯარო სამსახურში რეჟიმი ერთცვლიანია და სამუშაო საათები ყოველთვის იწყება დილით).

**კითხვა: გვაინტერესებს, რას ითვალისწინებდა ადრე მოქმედი კანონი ცვლებში მუშაობის საკითხის დასარეგულირებლად და რას ითვალისწინებს ახალი კოდექსი?**

**შალვა შალიბაშვილი**

**პასუხი:** ცვლებში მუშაობის ხანგრძლივობა და ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა ჯერ კიდევ 1973 წლიდან მოქმედი შრომის კანონთა კოდექსითაც ცვლიანობის განრიგით განისაზღვრებოდა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მას ადმინისტრაცია პროფკავშირებთან შეთანხმებით ამტკიცებდა - სამუშაოს სპეციფიკისა და შრომითი კოლექტივის აზრის გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც, აკრძალული იყო დასაქმებულის ზედიზედ ორ ცვლაში მუშაობა.

მსგავსი აკრძალვა მოქმედი შრომის კოდექსის მე-15 მუხლით გათვალისწინებული არ არის. ხოლო აღნიშნული საკითხის პროფკავშირებთან შეთანხმება და შრომითი კოლექტივის აზრის გათვალისწინება საერთოდ უგულებელყოფილია.

მოქმედი კანონის თანახმად, როდესაც შეუძლებელია ყოველდღიური ან ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა, დასაშვებია სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის წესის შემოღება.

**მკითხველთა ერთ ნაწილს აინტერესებს, რას ნიშნავს „დასაქმება შეთანხმებული დროით„ ან „ზუსტი სამუშაო დროის განუსაზღვრელად„ და იძლევა თუ არა აღნიშნულ საკითხზე განმარტებას ახალი კოდექსი?**

**პასუხი:** 2013 წლის 4 ივლისიდან მოქმედი შრომის კოდექსი აღნიშნულ საკითხებზე განსაკუთრებულ ყურადღებას არ ამახვილებს, თუმცა, უკანასკნელ წლებში შემოღებული პრაქტიკიდან ცნობილია სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის ორი ტიპის რეჟიმი, რომელიც დგინდება ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულების დებულებებით.

დასაქმება შეთანხმებული დროით არის დასაქმების ისეთი სახე, რომლითაც განისაზღვრება სამუშაო კვირის, თვის ან წლის ხანგრძლივობა. ამ წესით შეთანხმებული სამუშაო დრო უნდა შეესაბამებოდეს დამსაქმებლის მიერ დადგენილ ხანგრძლივობას, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს კანონით განსაზღვრულ დროის მაქსიმუმს. ხოლო დასაქმება ზუსტი სამუშაო დროის განუსაზღვრელად ნიშნავს იმას, რომ ამ დროს შრომის ხელშეკრულებაში არ მიეთითება სამუშაო დროის აუცილებელი ხანგრძლივობა, ე. ი. დამსაქმებელს უფლება აქვს დასაქმებული სამუშაოზე გამოიძახოს იმ შემთხვევაში, როცა ეს საქმეს სჭირდება. ამასთან, დამსაქმებელს შეუძლია მას დაუდგინოს ან არ დაუდგინოს სამუშაო დღის ხანგრძლივობა. ასეთი ურთიერთობის დამყარებისას მთავარი პრიორიტეტი სამუშაოს დროულ და ხარისხიან შესრულებას ენიჭება.

როგორც შესავალშივე აღვნიშნეთ, ბევრი შეკითხვა მივიღეთ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ზოგიერთი შეკითხვის ავტორს აინტერესებს, კანონის თანახმად, სად და როგორი სამუშაოების შესასრულებლად არის დაშვებული ზეგანაკვეთური მუშაობა.

განვმარტავთ, რომ კანონის თანახმად ზეგანაკვეთური მუშაობა დაშვებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში: ისეთი სამუშაოების შესასრულებლად, რომელიც აუცილებელია ქვეყნის თავდაცვისათვის, აგრეთვე საზოგადოებრივი ან სტიქიური უბედურების, საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად და მათი შედეგების დაუყოვნებელი აღმოფხვრისათვის; საზოგადოებრივად აუცილებელი ისეთი სამუშაოების საწარმოებლად, როგორიცაა წყალმომარაგება, გაზით მომარაგება, გათბობა, განათება, კანალიზაცია, ტრანსპორტი, სატელეფონო და საფოსტო-სატელეგრაფო კავშირი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის შემთხვევითი ან მოულოდნელი გარემოებები, რაც არღვევს მათ ნორმალურ ფუნქციონირებას; როცა აუცილებელია, დამთავრებულ იქნეს დაწყებული სამუშაო, რომელიც გაუთვალისწინებელი ან შემთხვევითი შეფერხების მიზეზით ვერ დამთავრდებოდა ნორმალური სამუშაო დროის განმავლობაში წარმოების ტექნიკური პირობების გამო, თუ დაწყებული მუშაობის შეწყვეტას შეუძლია გამოიწვიოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გაფუჭება ან დაღუპვა; მექანიზმის ან ნაგებობის შესაკეთებლად და აღსადგენად დროებითი სამუშაოების წარმოების დროს, იმ შემთხვევაში თუ მათი მოუწესრიგებლობა გამოიწვევს დასაქმებულთა მნიშვნელოვანი რაოდენობის მუშაობის შეწყვეტას; შემცვლელი თანამშრომლის გამოუცხადებლობისას მუშაობის გასაგრძელებლად, თუ დაუშვებელია სამუშაოს შეწყვეტა. ასეთ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები შემცვლელის სხვა მუშაკით შეცვლისათვის; როდესაც აუცილებელია დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების შესრულება იმ მიზნით, რომ არ იქნეს დაშვებული ან აღკვეთილ იქნეს მოძრავი შემადგენლობის მოცდენა ან ტვირთის დაგროვება გაგზავნის და დანიშნულების პუნქტებში.

თითოეული მუშის ან მოსამსახურის ზეგანაკვეთური მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ საათს ზედიზედ ორი დღის განმავლობაში, მთელი წლის განმავლობაში კი – 120 საათს. საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაცია (დამსაქმებელი) ვალდებულია, ზუსტად აღრიცხოს თითოეული მუშაკის მიერ ნამუშევარი ზეგანაკვეთური საათები.

**კითხვა: რა შემთხვევაშია ვალდებული დასაქმებული შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურების გარეშე და არის თუ არა ახალ კოდექსში მითითებული დასაქმებულთა რომელი კატეგორიის მუშაობაა აკრძალული ზეგანაკვეთურ სამუშაოზე. დროის რა მონაკვეთში მიიჩნევა მუშაობა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და როგორი წესით ანაზღაურდება იგი? თუ თქვენთვის ცნობილია, იქნებ ისიც განგვიმარტოთ, როგორ იყო მოწესრიგებული ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების გაცემა ადრე მოქმედი კანონით?**

**ალექსანდრე ხლებნიკოვი**

**პასუხი:** დასაქმებულს ანაზღაურების გარეშე ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება ევალება სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის. აქვე აღსანიშნავია, რომ თუ ზეგანაკვეთური სამუშაო სრულდება საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის, დასაქმებულს უნდა მიეცეს სათანადო ანაზღაურება. აკრძალულია ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, არასრულწლოვნის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

2013 წლის 4 ივლისიდან შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვნისთვის აღემატება კვირაში 40 საათს, 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 24 საათს. იქვე ზოგადად არის მითითებული, ზეგანაკვეთური სამუშაოს ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით ანაზღაურების შესახებ, მაგრამ კანონმდებელმა არც ამჯერად მიუთითა, როგორი წესით განისაზღვრება აღნიშნული ანაზღაურება და მისი გადაწყვეტა კვლავ მხარეთა შეთანხმებას მიანდო. როგორც მოქმედ კოდექსში ამ მიმართებით შეტანილი ცვლილებების დასკვნით ნაწილშია აღნიშნული: მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებულისთვის დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე.

აქვე გაცნობებთ, რომ 1973 წლიდან 2006 წლამდე მოქმედი შრომის კანონთა კოდექსით ეს საკითხი შემდეგნაირად იყო მოწესრიგებული: მხარეთა შეთანხმების გარეშე, დასაქმებულმა თავიდანვე იცოდა, რომ თუ ზედმეტ საათებში მოუწევდა მუშაობა, სამუშაო საათების გადამეტებით პირველი ორი საათით მუშაობა აუნაზღაურდებოდა იმ დროისთვის კუთვნილი ხელფასის ერთნახევარი ოდენობით, ხოლო დანარჩენი ზედმეტი საათებისთვის – ორმაგად. ასევე ორმაგად ანაზღაურდებოდა უქმე (სადღესასწაულო) და გამოსასვლელ დღეებში (შაბათ-კვირას) მუშაობა.

**ახლა იმ მკითხველთა თხოვნას დავაკმაყოფილებთ, რომლებიც შვებულების საკითხით არიან დაინტერესებულნი.**

მოქმედი შრომის კოდექსის მიხედვით, დასაქმებულს ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით განესაზღვრება, ხოლო ანაზღაურების გარეშე შვებულება – წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით. პრაქტიკულად ანალოგიური ფორმულირება იყო 2013 წლის 4 ივლისამდე მოქმედი კოდექსშიც, მაგრამ შვებულებით სარგებლობის ნაწილში მაინც არის ერთი მნიშვნელოვანი სიახლე. თუ ცვლილეების შეტანამდე არაფერი იყო ნათქვამი გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების შესახებ, ამჟამად, როცა შრომის ხელშეკრულება შეწყდა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ვ"–„თ" და „ო" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად. და კიდევ მეორე სასიხარულო ცვლილება: მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოზე მომუშავე დასაქმებულს ეძლევა დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება – წელიწადში 10 კალენდარული დღის ხანგრძლივობით.

რაც შეეხება შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, ასევე შვებულებას ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო, მისი დანიშვნისა და გაცემის საკითხში, 2013 წლის 4 ივლისიდან ცვლილებები არ არის გათვალისწინებული, მაგრამ საქართველოს პარლამენტის მიმდინარე წლის 27 სექტემბრის №1993 კანონით შეტანილია ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევა 2014 წლის 1 იანვრიდან. უფრო კონკრეტულად, თუ ამჟამად დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო – 477 კალენდარული დღის ოდენობით, საიდანაც ანაზღაურებადია 126 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 140 კალენდარული დღე, 2014 წლის 1 იანვრიდან ამგვარი შვებულება მიეცემა 730 კალენდარული დღის ოდენობით. ამასთანავე, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადი იქნება 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 200 კალენდარული დღე.

ცვლილებები შეეხო ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებასაც. კერძოდ, თუ მოქმედი კოდექსის მიხედვით, დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო – ბავშვის დაბადებიდან 365 კალენდარული დღის ოდენობით და ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 70 კალენდარული დღე, 2014 წლის 1 იანვრიდან ასეთ დასაქმებულს მიეცემა შვებულება ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით, საიდანაც ანაზღაურებადი იქნება 90 კალენდარული დღე.

თუ 2013 წლის 4 ივლისამდე მოქმედ შრომის კოდექსში მითითებული იყო შრომის ანაზღაურების თვეში ერთხელ სამუშაო ადგილზე გაცემის შესახებ, ამჟამად მოქმედი კოდექსის მიხედვითაც იგი კვლავ თვეში ერთხელ გაიცემა, მაგრამ სად, უკვე აღარ არის მინიშნებული (ვფიქრობთ, დამსაქმებლის კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული, სამუშაო ადგილზე გადაუხდის ხელფასს დასაქმებულს, თუ რომელიმე ბანკის მეშვეობით).

ცვლილებაა შრომის კოდექსის 33-ე მუხლში - შრომის ანაზღაურებიდან თანხის დაქვითვასთან დაკავშირებით, რომელიც 2013 წლის 4 ივლისამდე მოქმედ კოდექსში მეტად ბუნდოვნად იყო წარმოდგენილი. ზემოაღნიშნული მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით, „დამსაქმებელს უფლება აქვს, დასაქმებულის შრომის ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, მისთვის დასაქმებულს აქვს გადასახდელი.„ ძველ ტექსტში ამოვარდნილი იყო სიტყვა „დასაქმებულს" და ისე გამოდიოდა, თითქოს დამსაქმებელს უფლება ჰქონდა იმ თანხების გარდა, რაც დასაქმებულისთვის ზედმეტად ჰქონდა გადახდილი, დაექვითა ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე, მისთვის ჰქონდა გადასახდელი, რაც ბევრი შეკითხვის საფუძველი ხდებოდა არა მარტო დასაქმებულთა, არამედ დამსაქმებელთა მხრიდანაც.

შრომის პირობების დაცვის ნაწილში – უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან დაკავშირებით, მოქმედ კოდექსში რაიმე ცვლილება შეტანილი არ არის.

**კითხვა: ვმუშაობ კერძო სტრუქტურაში. მოვყევი საავტომობილო კატასტროფაში და უკვე 1 თვეა ვიმყოფები საავადმყოფო ფურცელზე. როგორც ექიმი მეუბნება, ჩემს გამოჯანმრთელებას შეიძლება კიდევ ერთი თვე დასჭირდეს. გთხოვთ, მაცნობოთ, შეიძლება ავადმყოფობა გახდეს ჩემი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი?**

**გურამ სამადაშვილი**

**პასუხი:** 2013 წლის 4 ივლისიდან მოქმედი კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი„ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა – თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს ამავე კოდექსის 21-ე მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურებადი (24 სამუშაო დღე) და ანაზღაურების გარეშე (15 კალენდარული დღე) შვებულებები შეიძლება გახდეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი.

თუ, ზემოაღნიშნულ პერიოში თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოსწორდება, ავადმყოფობა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი არ გახდება.

**სხვადასხვა მიზეზით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლით კიდევ 4 მკითხველია დაინტერესებული.**

განვმარტავთ, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებია: ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას; შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა; შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება; დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება; მხარეთა წერილობითი შეთანხმება; დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან; დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა; დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ დასაქმებულის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში უკვე გამოყენებულ იქნა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა; სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს; ამ კანონის 51-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ; დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის გარდაცვალება; დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება; სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

**კითხვა: რა ვალდებულებები ეკისრება დამსაქმებელს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მისი გადაწყვეტილება ბათილად სცნო?**

**ომარ ბლიაძე**

**პასუხი:** სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

საქართველოს შრომის კოდექსში კიდევ ბევრი სიახლეა, რაშიც დარწმუნდებით მისი სრული სახით გაცნობის შემთხვევაში.

თუ რაიმე საკითხი ძნელად გასაგები აღმოჩნდება ჩვენი გაზეთის რომელიმე მკითხველისთვის, ვურჩევთ შეგვეხმიანოს მითითებულ ტელეფონის ნომრებზე: 593 359909 ან 595 051177 და მყისვე აღმოვუჩენთ ყოვლად უანგარო პროფესიულ დახმარებას.

ძიუდო

# უკრაინული ტრიუმფი



**გასულ უქმეებზე 1998-1999 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა ხარკოვის საერთაშორისო ტურნირში ის მოჭიდავეები მონაწილეობდნენ, რომლებსაც, სავარაუდოდ, 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე მოუწევთ გამოსვლა.** შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის წარმომადგენლები იბრძოდნენ მედლებისთვის. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა (მწვრთნელები - თამაზ კარიაული, გიგა ბოჭოიძე, დავით კობერიძე, დავით თევდორაძე) თანატოლებთან პაექრობაში არნახულ წარმატებას მიაღწია - 17 სპორტსმენიდან 16-მა მედლები მოიპოვა. რვა წონითი კატეგორიიდან ხუთში ქართული ფინალი გაიმართა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ნიკა კობაიძე (46 კგ), ვანო ხუბაშვილი (50), გელა გარაყანიძე (55), ვანო მახათაძე (60), ლაშა დუდაშვილი (66), გოგა ქევხიშვილი (73), ონისე სანებლიძე (81); მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და მეორე ადგილებზე გავიდნენ: გიორგი თუთაშვილი (46), ალეკო მამიაშვილი (55), ალეკო სულაკაძე (66), ნოდარ წამალაიძე (73), გიორგი გოგოლაძე (81); ხოლო თორნიკე ჩილინდრიშვილი (55), შოთა ბესიაშვილი (60), საბა გაბრიჩიძე და დავით არწივიძე (ორივე-მძიმე წონა) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

**გივი გაგუა**

ჭიდაობა

# ლიდერებმა პოზიციები განიმტკიცეს

**საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მესვეურთა მოთხოვნის მიუხედავად, გამოცდილი სპორტსმენები შიდა კონკურენციას ხშირად ტრიბუნებიდან ადევნებდნენ თვალს.** შარშან ვინც ასე მოიქცა, ევროპის ჩემპიონატისთვის ეროვნულ ნაკრებში ვერ მოხვდა, ამიტომაც წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში, რომელსაც სასპორტო კომპლექსმა „არენამ“ უმასპინძლა, ორიოდე ტრავმირებული ფალავნის გარდა, მედლებისთვის ყველა უძლიერესი იბრძოდა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც უმთავრესად ფავორიტები ავიდნენ. 55 და 84 კილოგრამ წონით კატეგორიებში ნაკრების ლიდერებმა და ევროპის მოქმედმა ჩემპიონებმა - გიორგი ედიშერაშვილმა და დავით მარსაგიშვილმა იყოჩაღეს. ამ უკანასკნელმა ისე მოიგო ტიტული, რომ ქულაც არავისთვის დაუთმია. ტურნირის მთავარი ბრძოლა, მოლოდინისამებრ, მძიმე წონის ფინალი გამოდგა, რომელშიც ერთმანეთს ევროპის და მსოფლიოს პრიზიორი გენო პეტრიაშვილი და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსმედალოსანი დავით მოძმანაშვილი დაუპირისპირდნენ. დაძაბული პაექრობა მოძმანაშვილმა მოიგო.

**კვარცხლბეკი**

**55 კგ**. 1. გიორგი ედიშერაშვილი (აჭარა), 2. ბექა ბუჯიაშვილი (გორი), 3. ლაშა ტალახაძე (ხაშური) და ოთარ გოგავა (ხონი).

**60 კგ**. 1. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (გორი), 2. ბექა ლომთაძე (ქუთაისი), 3. აკაკი მოწონელიძე (ხაშური) და მურთაზ კვესაძე (ქუთაისი).

**66 კგ**. 1. კონსტანტინე ხაბალაშვილი (გორი), 2. ლევან ქელეხსაშვილი (ხაშური), 3. ზურაბ იაკობაშვილი (ყვარელი) და მალხაზ ქურდიანი (ბოლნისი).

**74 კგ**. 1. იაკობ მაქარაშვილი (თბილისი), 2. გიორგი მარსაგიშვილი (სტეფანწმინდა), 3. ჯუმბერ ყველაშვილი (გორი) და ალექსანდრე ჯაჭვაძე (გარდაბანი).

**84 კგ**. 1. დავით მარსაგიშვილი (სტეფანწმინდა), 2. ლევან გოგრიჭიანი (თბილისი), 3. გოჩა ლომთათიძე (თბილისი) და ნოდარ ეგაძე (გორი).



**96 კგ**. 1. დავით ქერაშვილი (თბილისი), 2. ბექა ჭელიძე (აჭარა), 3. ელიზბარ ოდიკაძე (თბილისი) და ზვიად მეტრეველი (ონი).

**120 კგ**. 1. დავით მოძმანაშვილი (გურჯაანი), 2. გენო პეტრიაშვილი (გორი), 3. ტარიელ ლაბაძე (რუსთავი) და გიორგი მეშვილდიშვილი (ონი).

**ლექსო ცინცაძე**

ფარიკაობა

# ოლიმპიური ჩემპიონის ხსოვნისა

**შარშან 50 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა 1988 წლის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და 1985 წლის ევროპის თასის მფლობელი ვლადიმერ აფციაური.** ტიტულოვანი მუშკეტერის სახელის უკვდავსაყოფად ფარიკაობის ეროვნულმა ფედერაციამ თბილისის მერიის თანადგომით გასულ კვირას ვლადიმერ აფციაურის პირველი მემორიალი გამართა რაპირაში. ოლიმპიური ჩემპიონის — ნუგზარ ასათიანის სახელობის ფარიკაობის დარბაზში მედლებისთვის თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და აჭარის წარმომადგენლები იბრძოდნენ. ნახევარფინალში არჩილ უგულავამ (ბათუმი) სანდრო სიხარულიძე (თბილისი) დაამარცხა — 15:12, თბილისელმა ლუკა ღაღანიძემ კი თანაქალაქელ გიორგი გელაშვილს 15:5 აჯობა. ფინალში ღაღანიძემ უგულავას 15:11 მოუგო და მთავარი პრიზიც დაიმსახურა.

გამარჯვებული და პრიზიორები ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა არჩილ გოგელიამ, ვიცე-პრეზიდენტმა, ვლადიმერ აფციაურის მეუღლემ ირინე სხირტლაძემ, თბილისის ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტმა პაპუნა პეტრიაშვილმა და ახალგაზრდებში 1961 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ნიკოლოზ ანდრიაძემ დააჯილდოვეს. ლუკა ღაღანიძეს სპეციალური პრიზი ფარიკაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა, მსოფლიოს ჩემპიონმა იური ოსიპოვმა გადასცა.

**ლაშა დიდია**



**სურათზე: გამარჯვებული და პრიზიორები მემორიალის ორგანიზატორებთან ერთად.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

კალათბურთი

# ციხე შიგნიდან გატყდა

**მართალია, ახალი სეზონის წინ „არმია“ მთელმა რიგმა წამყვანმა მოთამაშეებმა დატოვეს, მაგრამ კოტე ტუღუშის გუნდი შენარჩუნებული კონტინგენტითაც კერკეტ კაკლად რჩება, რასაც სუპერლიგის სატურნირო ცხრილში ძალოვანთა მეორე პოზიციაზე დამკვიდრება ადასტურებს.**

მერვე ტურში ქვეყნის ორგზის ჩემპიონებმა პრინციპული ბრძოლა მოუგეს „ქუთაისს“ — 70:68 , თამაშის ბედი კი საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე გადაწყდა, როცა რიონისპირელთა ყოფილმა გამთამაშებელმა ბაბუნაშვილმა სტუმართა კალათში სამქულიანი ჩააგდო. მასთან ერთად ახალ პარტნიორთა გამარჯვებაში ღირსეული წვლილი ასევე ქუთაისში დაოსტატებულმა კვიმსაძემ შეიტანა.

**დანარჩენი შედეგები:**

„მაკაბი“ — „რუსთავი“ 59:94, შსს აკადემია — „სოხუმი“ 79:89 (ბოლო პერიოდი ზღვისპირელებმა 33:9 მოიგეს), „დინამო“—„ოლიმპი“ 104:60. ისვენებდა „ბათუმი“.

**სატურნირო მდგომარეობა:**

„დინამო“ — 7, „არმია“ — 6, „ბათუმი“, „ქუთაისი“ — 5-5, „სოხუმი“ — 4, შსს აკადემია — 3, „ოლიმპი“, „რუსთავი“ 1-1, „მაკაბი“ — 0 მოგება.



პირველი წრე 14 დეკემბერს დასრულდება, ხოლო ხვალ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ყრილობაზე ახალ პრეზიდენტს აირჩევენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ვითომ?

# ხმაური მუნდიალის წილისყრის გარშემო

**ესპანურმა გამოცემა El mundo deportivo-მ დაწერა, რომ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა ფალსიფიცირებული იყო. ჟურნალისტთა ვერსიით, ფიფას გენერალური მდივანი ბურთულებს როცა იღებდა, კამერები ამას არ აჩვენებდნენ და თანაც, ბურთულიდან პატარა პაუზის შემდეგ იღებდა ქაღალდს, სადაც ქვეყნების სახელი ეწერა.**

გამოცემა მიიჩნევს, რომ ჟერომ ვალკეს თვალწინ მაგიდაზე „საჭირო“ ქაღალდები ეწყო.

იკერ კასილიასი ასე შორს არ წასულა, მაგრამ უკმაყოფილება გამოთქვა წილისყრის სისტემით:

„გაუგებარია, რატომ უნდა მოხვდნენ ერთ ჯგუფში წინა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები. ეს ნონსენსია! საერთოდ, გაუგებარია, როგორ იღებენ ნაკრებები კოეფიციენტებს“.

შეხსენებისთვის, ესპანეთთან და ჰოლანდიასთან ერთად ჯგუფში არიან ჩილე და ავსტრალია. ამ ჯგუფიდან გასულები მერვედფინალში ბრაზილიის ჯგუფს გადაეკვეთებიან, ასე რომ, სულაც არაა გამორიცხული ასეთი მერვედფინალი: ბრაზილია-ესპანეთი...

**გიორგი შოთაძე**

| GROUP A | GROUP B | GROUP C | GROUP D |
|---|---|---|---|
| Brazil | Spain | Colombia | Uruguay |
| Croatia | Netherlands | Greece | Costa Rica |
| Mexico | Chile | Côte d'Ivoire | England |
| Cameroon | Australia | Japan | Italy |
| **GROUP E** | **GROUP F** | **GROUP G** | **GROUP H** |
| Switzerland | Argentina | Germany | Belgium |
| Ecuador | Bosnia-Herzegovina | Portugal | Algeria |
| France | Iran | Ghana | Russia |
| Honduras | Nigeria | USA | Korea Republic |

ინტერნეტიდან

# სერფინგი და ავსტრალიელი მეძავები

**მაშინ, როდესაც ჩვენი რეგიონის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც, ბორდელებს გამალებით ებრძვიან და ასეთ ერთობ ხელიხელსაგოგმანებ დაწესებულებებს ერთიმეორის მიყოლებით ხურავენ, სრულიად განსხვავებული სიტუაცია ყოფილა ორი ოკეანის გაღმა.**

ჩვენ დაახლოებით ერთი წლის წინათ ვწერდით იტალიელ მეძავებზე, რომლებმაც ერთ-ერთი ნაკლებად ცნობილი იტალიური საფეხბურთო კლუბი შეიძინეს და გოლის გამტან ფეხბურთელებს პრემიის სახით უფასო მომსახურებასაც დაპირდნენ.

როგორც ჩანს, იტალიელ მეძავებს არც ავსტრალიელი კოლეგები ჩამორჩნენ. ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა, რომ ქალაქ კანბერაში მცხოვრებმა მეძავებმა ერთ-ერთი სერფინგის კლუბი შეიძინეს და ამ კლუბში რებრენდინგის ჩატარება, მათ შორის ლოგოს შეცვლაც კი აქვთ გადაწყვეტილი. საინტერესოა რას დაახატავენ ახალ ლოგოზე — ცად აზიდულ ქალის მკერდს თუ სხვა საინტერესო რამეებს...



**როსტომ რაჭველიშვილი**

შაბათ-კვირის ჩანაწერები

# ორი წიგნი ანდამატი

**ხომ უამრავი და ფერად-ფერადი წიგნი გამოდის, არ გვაკლია (თუ ფული გაქვს) არც მშობლიური და არც უცხოური ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები, შიგადაშიგ, ძალზე საჭიროს რომ იტყვიან, ისეთებიც გვხვდება, თანაც, ქართველი ავტორებისა, მაგალითად, ცნობილ, ღვაწლმოსილ მუსიკათმცოდნეს, თბილისის კონსერვატორიის პროფესორს, ჭეშმარიტად ღირსეულ მამულიშვილს გულბათ ტორაძეს ახლახან გამოუცია თავისი პროფესიისგან აბსოლუტურად „განზე მდგარი“ წიგნი-ალბომი, „ქართული ფეხბურთი ჩემს ცნობიერებაში“, სადაც ბატონი გულბათი გვევლინება არა მარტო როგორც გულშემატკივარი და აპოლოგეტი ქართული ფეხბურთისა, არამედ დიდი მცოდნეც ამ უბადლო თამაშისა. ეს, პირადად ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო...**




ბატონი გულბათი ქართული ფეხბურთის ფლაგმანის, თბილისის „დინამოსა“ და ჩვენი სხვა გუნდების მიერ განვლილი გზის შესახებ თანმიმდევრულ თხრობას იწყებს 1936 წლიდან, როდესაც თბილისის „დინამო“ საკავშირო პირველობაზე მოევლინა საბჭოთა ფეხბურთს და 1981 წლის უბედნიერესი 13 მაისით, ანუ „დინამოს“ მიერ თასების მფლობელთა თასის მოპოვებით ასრულებს. არც მალავს ავტორი, მერე და მერე, რა უკან-უკან წავიდა „დინამოს“ საქმე და დასაწერ-გასახსენებელიც თითქმის არაფერი დარჩა.

...ფურცლავ წიგნს და გიკვირს, საიდან დააგროვა ავტორის მეხსიერებამ ეს ზღვა მასალა, დაწყებული ბორის პაიჭაძიდან, როგორ ყველას (დიახ, დიახ, ყველას) თავის გულთბილ დამოკიდებულებას და გულთბილ სტრიქონებს უძღვნის ავტორი და, თუნდაც ამიტომ, განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის ძალზე საინტერესო და საჭირო წიგნია „ქართული ფეხბურთი ჩემს ცნობიერებაში“. რამეთუ, „ყმაწვილმა უნდა იცოდეს, საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო!“

* * *

**ახლა კი, პოეზია, ძვირფასო მკითხველო! ამ მომცრო, კოხტად გამოცემულ კრებულში, რომელიც დავით თედორაძეს ეკუთვნის, ერთი-მეორეზე უკეთესი (ჩემი აზრით) ლექსია მოთავსებული.** დავით თედორაძეს, როგორ არ ვიცნობ, შესანიშნავი პოეტის, აჭარის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ყოველი სტრიქონი, სამშობლოს სიყვარულით არის გამთბარი, დღევანდელი ბედუკუღმართობით არის დასევდიანებული. თითქმის ყოველ გვერდზე დავით თედორაძეს სწორედ ეს სევდა და სატკივარი აქვს ახმიანებული, მაგრამ, მათ შორის, ერთმა ლექსმა ძალიან იმოქმედა, ძვირფასო მკითხველო და ეს პაწია ჩანახატიც სწორედ მან დამაწერინა.

მოდით, თქვენც წაიკითხეთ.

## იქნებ არმოსვლა მერჩია

„რამ შემქმნა ადამიანად,
რატო არ მოველ წვიმადა?“
ვაჟა-ფშაველა

**დალოცვილ ვაჟას უთქმია —
„რატო არ მოველ წვიმადა...“
მე რა ვთქვა, როცა მას შემდეგ
სიგლახემ ასჯერ იმატა.
ქვეყანა არეულია
და ყველგან შხამი თესია,
და უმტკიცებენ ძმები ძმებს
ვინ ვისზე უკეთესია.
საშოვრად უნდათ სამშობლო,
ნახვეჭ-ნაძარცვით ტკბებიან,
ხალხს აბრიყვებენ, მშრომელ კაცს
სიმშვიდე მონატრებია.
ლიქნამ კაცობა წაბილწა
და პირფერობამ — ღირსება,
ქვეყანა — გმირთა, რაინდთა,
ქურდბაცაცებით ივსება.
განმკითხავს სადღა შეხვდები,
ყველა კანონი მკვდარია,
ვის ენაღვლება — რა მიჭირს,
რა მიმძიმს, რა მიხარია.
შე დალოცვილო, მე რა ვთქვა,
ვის ამოვუდგე გვერდშია,
იქნება არ მოვსულიყავ,
იქნებ არმოსვლა მერჩია.**




ჩემი აზრით, დავით თედორაძის ლექსების კრებულში **„მომავლისთვის... წინაპრისთვის...“** სხვაც ბევრი კარგი ლექსია, ისეთი, რომლითაც ავტორი მრავალი გულმართალი ქართველის სათქმელს ამბობს. ამიტომაც წერს კრებულის შესავალში ბატონი **თამაზ ჭილაძე: „დიდი წარსულის მძლავრი ინერცია ამოძრავებს და სასიკეთოდ მართავს ჩვენს სულისკვეთებას, ამიტომაც, ამ ქვეყნად თითქოს სრულიად მარტოდ დარჩენილებსაც კი გვჯერა — ჩვენ თვითონ, ერთად შევძლებთ შევქმნათ საკუთარი მომავალი.**

**„ვწეროთ და ვხატოთ, მეგობარო,
მხოლოდ ხვალისთვის“-ო,**

**ამბობს დავით თედორაძე, დიახ, გვქონდეს ხვალის იმედი, მეგობრებო, და, რაც მთავარია, გვქონდეს ერთმანეთის იმედი!“**

მართლაც, ერთმანეთის იმედით ღირს ცხოვრება!

**ვილენ მარდალეიშვილი**

სულთათანა

## ჯემალ ჩახავა



ვატყობდით, რომ ვერ იყო, ამ ბოლო დროს, კარგად... აღარც თავისებური იუმორი ჰქონდა, აღარც თავის მშობლიურ ფოთზე, იქაურ საძმაკაცოზე, აღარც თბილისურ თავგადასავლებზე, ლიტერატურაზე, პოეზიაზე, ხელოვნებაზე, აქაურ მეგობრებზე საუბრობდა...

ჰოდა, შეიძლება არც გაგვკვირვებია ცნობა მისი გარდაცვალების შესახებ... ოღონდ, ნაღდად ჩაგვწყდა გული, რადგან წავიდა ნიჭიერი პოეტი, ლექსით რომ საზრდოობდა, ისეთი კაცი, სამშობლო და მისი ჭირ-ვარამი რომ ეხატა გულზე, მისი უკეთესი დღეების იმედი რომ ჰქონდა...

წავიდა **ჯემალ ჩახავა**... დარჩა შესანიშნავი ლექსები, ნაღდ პოეზიასთან წილნაყარი სტრიქონები, რომელთაც თავისი მკითხველი ყოველთვის ეყოლება!..

ნათელში იყავ, ჩვენო ჯემალ!

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

ორი სათრეველა

## P.S.-ის 8 დეკემბრის სიუჟეტებთან დაკავშირებით

### ნაცნობი ხელწერა

**მამული ნაკუწ-ნაკუწ გაგვიყიდეს, ენა წაგვიბილწეს, ახლა ქვეყნის მესამე ძირითადი ბოძის — დედაეკლესიის წაქცევასაც ცდილობენ სკამებ და ეროვნებადაკარგული „ნაციონალები“**

როცა ახსენებს უწმინდესს
P.S.-ის უწმინდურობა
და წამოიწყებს ნოდია
ეკლესიაზე ბოდიალს,
თუმცა დიდებას უწინდელს
ვერ დაძლევს უწიგნურობა,
მაგრამ სახუმრო როდია, —
რადგან ნაცნობი კოდია!

### მენორა

**სამარცხვინოდ დამთავრდა მავანთა მცდელობა, რათა ხელი შეეშალა საქართველოს პრეზიდენტისათვის, რომ მენორაზე აენთო ხანუკას პირველი სანთელი**

ხან წინ დახტოდნენ, ხან — უკან,
რომ ჩაეშალათ ხანუკა,
მაგრამ მათ როდი ემონა
ებრაელი ან ქართველი,
ჩვენს მეგობრობას მზაკვრულად
ხელს ველარავინ აუკრავს,
რადგან ანთია მენორა
თავისი ცხრავე სანთელით!

**ალექსანდრე შენგელია**

ინფორმაცია

## ბათუმში საბავშვო ბაღებმა მუშაობა შეაჩერეს



**საბავშვო ბაღების მუშაობა დროებით, უამინდობის გამო შეჩერებულია, — ამის შესახებ საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო მკერვალიშვილმა განაცხადა.**

**ნინო მკერვალიშვილის განმარტებით, ბაღებს ელექტროენერგია შეზღუდვით მიეწოდება და ბავშვების ჯანმრთელობის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ბაღები არ იმუშავებს. ბათუმში სულ 28 საბავშვო ბაღია.**

**ინტერპრესი**

რელიგია და მეცნიერება

# „რომელმა შექმნა სამყარო...“

**ათიოდე წლის წინათ ბრიტანელმა მეცნიერმა ენტონი ფლიუმ საჯაროდ თქვა უარი ათეისტობაზე, რამაც ინტერნეტის მომხმარებელთა არნახული აჟიოტაჟი გამოიწვია. ეს ამბავი 2004 წელს მოხდა, როცა ბატონი ფლიუ 81 წლის იყო.**

— ჩემმა მცდარმა აზრებმა მრავალი ადამიანის მსოფლმხედველობაზე იმოქმედა, ამიტომ მინდა, გამოვასწორო ის ზიანი, რომელიც, ალბათ, მივაყენე, — განცხადა მეცნიერმა, რომელიც მანამდე დიდი ენთუზიაზმით კითხულობდა ათეისტურ ლექციებს.

ოქტომბერში, მეცნიერის გარდაცვალებიდან სამი წლის თავზე, მეცნიერის ეს გულახდილი განცხადება კვლავ გაიხსენეს, რასაც ინტერნეტში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ათეიზმიდან საკუთარი განდგომა თავად ენდრიუ ფლიუმ ასე ახსნა:

— დნკ-ს ბიოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ სიცოცხლის წარმოსაშობად სხვადასხვა ფაქტორის ჭეშმარიტად წარმოუდგენელი ოდენობის შერწყმაა აუცილებელი, რასაც, აუცილებლად, იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ამაში შემოქმედების ნიჭის მქონე „ვიღაცის“ ხელი ურევია... არსებული ფაქტების გაანალიზებამ დამარწმუნა თეორიის აბსურდულობაში, რომლის თანახმად, პირველი ცოცხალი ორგანიზმი არაცოცხალი მატერიიდან წარმოიშვა, მერე კი ევოლუციის გზით უაღრესად რთულ ქმნილებად გადაიქცა...

ალსანიშნავია, რომ ამას მარტო ენტონი ფლიუ არ ამბობს. მას, არსებითად, „მეორე ხმას“ აძლევს ნობელის პრემიის ლაურეატი, დნკ მოლეკულის ერთ-ერთი პირველი აღმწერი ფრენსის კრიკი:

— იმ ცოდნის საფუძველზე, რომელიც დღესდღეობით გაგვაჩნია, საღად და ობიექტურად მოაზროვნე კაცს ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეუძლია — ესაა იმ ფაქტის აღიარება, რომ **სიცოცხლე რაღაც სასწაული შემოქმედების შედეგია.** სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას აუარება ფაქტორის გასაოცრად ზუსტი ურთიერთმოქმედება, რაც სიცოცხლის ჩასახვისა და განვითარებისათვისაა აუცილებელი?

ამერიკელი ბიოქიმიკოსი, პროფესორი მაიკლ ბეჰე, წიგნში „დარვინის შავი ყუთი“ წერს:

— ბოლო 50 წლის მანძილზე ბიოქიმიკოსებმა ადამიანის უჯრედის მრავალი საიდუმლო ამოხსნეს, მაგრამ ცოცხალი ორგანიზმის შესასწავლად გაწეულმა ძალისხმევამ მხოლოდ ერთი შედეგი გამოიღო. — ესაა „შემოქმედება“.

**— ღმერთი მარტო კი არ არსებობს, არამედ ჩვენს ცხოვრებაშიც ერევა,** — აცხადებს თავის ბესტსელერში „ღმერთის ენა“ ცნობილი გენეტიკოსი, პროექტ „ადამიანის გენომის“ ყოფილი ხელმძღვანელი ფრენსის კოლინზი, გახმაურებული გამოთქმის **„ღმერთის რწმენასა და მეცნიერებას შორის წინააღმდეგობა არ არის“** ავტორი.



**— რა თქმა უნდა, ღმერთი სამყაროს პროცესებს მართავს,** — ამბობს ფრენსის კოლინზი, — **მაგრამ ამას თანამედროვე მეცნიერთათვის სრულიად მოუხელთებელი ხერხებით აკეთებს. ამ მხრივ მეცნიერება ღვთიური ზეგავლენის შეგნების კარს გვიხსნის და, ამავე დროს, არც ბუნების კანონებს უარყოფს.**

კოლინზს თუ დავუჯერებთ და მივყვებით, გამოდის, რომ **თუკი ღმერთი მაინც გვპატრონობს, მაშინ მისდამი ლოცვასა და შეწევნის თხოვნით მიმართვას აზრი აქვს.**

სხვათა შორის, **თანამედროვე მეცნიერებს არა მარტო შემოქმედისა სწამთ, ისინი იმაშიც არიან დარწმუნებულნი, რომ, როცა სიკვდილის სარეცელზე ჩარლზ დარვინს ჰკითხეს: „მაშ, ვინ შექმნა სამყარო?“, ევოლუციის თეორიის ავტორმა უპასუხა, — ღმერთმაო.**

საგულისხმოა თემის მეცნიერული კომენტარი.

**— ევოლუციის არსებობა სულაც არ უარყოფს უზენაესი გონების არსებობას, მეცნიერებს კი მისი არც დადასტურება, არც უარყოფა არ შეუძლიათ. დარვინის თეორიის მომხრეები ღია კარს ამტვრევენ. თუ წმინდა ტექსტებს არა პირდაპირ, არამედ ალეგორიად აღვიქვამთ, მაშინ წინააღმდეგობა ღმერთის არსებობასა და ევოლუციას შორის არ არსებობს. აბა, გავიხსენოთ: თავდაპირველად უფალმა შექმნა მცენარეები, მერე ცხოველები, შემდეგ ადამიანი — რეალურად ხომ ყველაფერი მართლაც ასე იყო! მეტიც, სავსებით დასაშვებია, რომ თავად ევოლუციის კანონებიც უფლის შექმნილია!**

**ოთარ მერიშვილი**

## მილოცვა



„საქართველოს ტელერადიოცენტრის“ კოლექტივი და პროფესიული კავშირი ვულოცავთ დაბადების დღეს დარგის დამსახურებულ სპეციალისტს, გამორჩეულ პიროვნებას, ბატონ **ბორის ადამიას**.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას საყვარელ ოჯახთან ერთად, სიკეთესა და სიხარულს, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ღმერთმა არ მოგაკლოთ ღვთისმშობლის წყალობა.

**პატივისცემით პროფკომიტეტი**

## დაიჯესტი

### ღარიბთა დახმარების დღე

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტების მიერ მიღებული განმარტებით, სიღარიბე, ესაა „სიცოცხლის დამაკმაყოფილებელი დონის შესანარჩუნებლად აუცილებელი რესურსების დიდი ხნის მანძილზე იძულებითი უქონლობის მდგომარეობა“.**

სიღარიბე არა მარტო უფულობას, არამედ ღირსეული სამუშაოს, ნორმალური საცხოვრისის უქონლობის, ასევე კარგი განათლებისა და ჯანდაცვის მიღების შეუძლებლობაა.

არსებული მონაცემებით, მსოფლიოში სიღარიბის ზღვარზე ან მის ქვევით მოსახლეობის თითქმის მესამედი ცხოვრობს. 19 დეკემბერს კი ღარიბთათვის დახმარების საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ.

### ცხვირმონგრეული შვილის ერთგულება

**„უკანასკნელი ამოსუნთქვით“ –ასე ეწოდება სახელოვანი რეჟისორის ჟან-ლუკ გოდარის ფილმს, რომლითაც მე-20 საუკუნის ფრანგულ კინოში „ახალი ტალღის“ ეპოქა დაიწყო. მასში მთავარი როლი იმხანად ნაკლებად ცნობილმა ჟან-პოლ ბელმონდომ შეასრულა, რომელიც მერე ამ ტალღის სიმბოლოდ იქცა.**

გოდარის გარდა, ბელმონდოს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალი სხვა საუკეთესო ევროპელი რეჟისორის ნამუშევრებში, მათ შორის, დე სიკას, მელვილის, შაბროლის, ალენ რენეს, ტრიუფოს კინოფილმებში, რამაც მას საქვეყნო დიდება მოუტანა. თუმცა კი კარიერის დასაწყისში მას უწინასწარ-



მეტყველებდნენ, რომ მონგრეული ცხვირის გამო, რომელიც მას სკოლაში ჩხუბისას გაუტეხეს – მომავალი ვარსკვლავი დიდი მამლაყინწა ვინმე იყო – მას წარმატების დიდი იმედი არ უნდა ჰქონოდა. თავად ჟან-პოლიც თავს მახინჯად თვლიდა: „დარწმუნებული ვიყავი, რომ საზიზღარი სიფათი მქონდა!“ – ამბობდა მერე მსახიობი.

არადა, ეს „სიმპათიური მახინჯი“ კაცი ძალიან ბევრ ულამაზეს ქალს თავდავიწყებამდე უყვარდა: პირველ ცოლს, ელოდის, რომლისგან სამი შვილი ჰყავს, იგი იტალიელ ვარსკვლავთან კლაუდია კარდინალესთან ღალატობდა, მერე შვედ ლამაზმანთან ურსულა ანდერსთან, რომლისგან მეორე ქერათმიან ლაურა ანტონელისთან წავიდა. შუაშიც და მერეც კიდევ მრავალი ცნობილი და ნაკლებად სახლოვანი ქალი ჰყავდა მექალთანე ბელმონდოს, ბოლო კი „პლეიბოის“ ფოტომოდელი ბარბარა განტოლფი იყო, თუმცა, მათ ურთიერთობას ბევრი სკანდალი ახლდა: პრესა ბარბარას 80 წელს მიკაკუნებული მსახობის მილიონების და არა თავად ჟან-პოლის სიყვარულში ადანაშაულებდა. მათი ურთიერთობა ერთობ დრამატულად დასრულდა: ვიღაცები ბელმონდოს ანონიმურ წერილებს უგზავნიდნენ, რომ თუკი იგი საყვარელს თავს არ დაანებებდა, წინა ქორწინებიდან ექვსი წლის ქალიშვილის მოკვეთილ თავს გამოუგზავნიდნენ...

2001 წელს კორსიკაში დასვენების დროს ბელმონდოს ინსულტი მოუვიდა – ექვსი თვის მანძილზე იგი ვერ ლაპარაკობდა, მარჯვენა მხარე წართმეული ჰქონდა, მიუხედავად ამისა, მოდელ ნატი ტარდიველთან მას შემდეგ კიდევ ერთი ქალიშვილი შეეძინა.

ჟან-პოლ ბელმონდო ამავე დროს უდავოდ პიროვნული, კაცური თვისებებით გამორჩეული ადამიანია: მამამისი, პოლ ბელმონდო, ცნობილი მოქანდაკე იყო, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ყოველ უქმე დღეს ლუვრში, როგორც თავად ამბობდა, „სასწავლად“ დადიოდა. მამის სიყვარული ჟან-პოლს მთელი ცხოვრების მანძილზე გაუყვა – მან მიაღწია იმას, რომ უფროსი ბელმონდოს სახელი პარიზის ერთ-ერთ ქუჩას დაარქვეს, ტიუილრის ბაღში კი მისი ქანდაკებები დადგეს. 80-იან წლებში ჟან-პოლ ბელმონდომ „სეზარის“ უალრესად პრესტიჟული პრემიის მიღებაზე უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ ამ ჯილდოს ქანდაკების შემქმნელი მამამისის შემოქმედებას აუგად მოიხსენიებდა.

### კონტრაბანდული გვირაბი

**დასავლეთ უკრაინის ქალაქ უჟგოროდის გარეუბანში სამართალდამცველებმა გვირაბი აღმოაჩინეს, რომლის მეორე მხარეს... სლოვაკეთის ქალაქ ვიშნე ნემეცკოეში აღმოჩნდა.**

– გვირაბი ისე კაპიტალურადაა მოწყობილი, რომ შიგნით... თვითნაკეთი მატარებლით გადაადგილებაცაა გათვალისწინებული, – განაცხადა სლოვაკეთის შს მინისტრმა რობერტ კალინაკმა. –მას ფართო მოხმარების საგნებისა და სიგარეტის კონტრაბანდისთვის იყენებდნენ. თუმცა, ჩვენ ვეჭვობთ, რომ, შესაძლოა, გვირაბით არალეგალურად ადამიანებიც გადაჰყავდათ.

გვირაბი მართლაც რომ დიდი გაქანებითაა გათხრილი. მისი სიმაღლე 6 მეტრია, სიგრძე კი – 700.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან



#### „ირაკლი ღარიბაშვილისგან რადიკალურ ნაბიჯებს ელოდეთ!“

– **აცხადებს** კავკასიის ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი. იგი არ გამორიცხავს, რომ ევროპამ საქართველოს ხელისუფლებას ვანო მერაბიშვილის განთავისუფლება მოსთხოვოს. კასრელიშვილის აზრით, ექსპრემიერის განთავისუფლებას ქვეყანაში უმართავი პროცესები მოჰყვება. იგი საოცნებო ხელისუფლების მოქმედებით ჯერ უკმაყოფილო არ არის და დარწმუნებულია, ძალიან მალე ირაკლი ღარიბაშვილი რადიკალურ ნაბიჯებს გადადგამს.

**„ახალი თაობა“**

#### „დამერწმუნეთ, „რესპუბლიკელები“ „ნაციონალებზე“ უარესი ჭირია!“

– **მიიჩნევს** ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი თამაზ ბაკურიძე, – „რესპუბლიკელები“ არ მოისვენებენ მანამ, სანამ საქართველოს ბოლომდე არ დაშლიან და არ დაანაწევრებენ. მინდა, გავიხსენო ასლან აბაშიძის პერიოდი, როდესაც ის სასტიკად იყო „რესპუბლიკელებთან“ დაპირისპირებული. სულ მაინტერესებდა, რატომ იყო ეს ადამიანი „რესპუბლიკელების“ წინააღმდეგ ასეთი განწყობით, მათში მტერს რატომ ხედავს-მეთქი? რატომღაც დღეს საზოგადოებას ჰგონია, რომ ესენი პროდასავლური ადამიანები არიან. ეს არის ტყუილი, არ დაიჯეროთ. ასლან აბაშიძემ მე მაჩვენა დოკუმენტები, სადაც დღეს პარლამენტში მჯდომი რამდენიმე „რესპუბლიკელი“ არის კაგებეს აგენტი.

**„ქრონიკა“**

#### ზამთრის სეზონისთვის დევნილებს 200-ლარიანი დახმარება გადაეცემათ

**დევნილები**, რომლებიც სოციალურად დაუცველთა ბაზაში არიან და რომელთა სარეიტინგო ქულა 70001-ს არ აღემატება, ზამთრის სეზონზე ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მოხმარებისთვის 200-ლარიან დახმარებას მიიღებენ. აღნიშნული პროგრამა 23 ათასზე მეტ დევნილ ოჯახზე გავრცელდება და ამისთვის დევნილთა სამინისტრო დახმარებით 5 მილიონ ლარს დახარჯავს.

**„რეზონანსი“**

#### ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან

**რაოდენ** გასაკვირიც უნდა იყოს, მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის ჩამოყალიბების წინააღმდეგ „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა. უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე ვერ მალავს თავის აღშფოთებას და მოუწოდებს მათ, ვინც ფიქრობს, რომ სამართლიანობა არ აღმდგარა, მიმდინარე წლის 15 დეკემბერს, 13 საათზე, ყოფილი პარლამენტის შენობასთან შევიკრიბოთ და ხელისუფლებას ხალხის ერთობის ძალა შევახსენოთ.

**„ასავალ-დასავალი“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**ებრაელი** ქალაქში ჩავიდა თავისი სტუდენტი შვილის მოსანახულებლად და რაოდენ გაუკვირდა, როდესაც დაინახა, რომ მისი შვილი ტრამვაის მისდევდა.

– რას შვრები, შვილო?

– ხუთ კაპიკს ვზოგავ.

– სულელო, ბარემ ტაქსის გაეკიდე, ასჯერ მეტს დაზოგავ.

* * *

– **მიხო**, აბა, ერთი გვაჩვენე რუკაზე, სად არის ჩრდილოეთი და სად – სამხრეთი?

– ჩრდილოეთი სად არის არ ვიცი, მაგრამ სამხრეთი კი მაქაა, დაფასთან.

– რატომ?

– როდესაც დაფასთან გამომიძახებთ, მუდამ საშინლად მცხელა ხოლმე.



* * *

**უკვე** სამი თვეა, ერთმანეთს ვხვდებით... და დღეს მთხოვა, შენიანები გამაცანიო.

რა ვქნა, არ ვიცი, ბავშვები ბებიასთან არიან, ქმარი კი საერთოდ მივლინებაშია...

* * *

– **სად** ისვენებდი? – ეკითხება ტიპი ძმაკაცს.

– არსად, ფრენის მეშინია.

– შენც ფრენის წინ დალიე და არ შეგეშინდება.

– როცა დავლევ, აქაც კარგად ვარ...

* * *

**ახალგაზრდა** მებატონე თავის სამფლობელოს ეტლით ათვალიერებს. უცებ მინდორში შეამჩნევს გლეხს, რომელიც მას გაჭრილი ვაშლივით ჰგავს.

– ბიჭო, მოდი აქ, – დაუძახებს, – მითხარი, დედაშენს მამაჩემის მამულში ხომ არ უმუშავნია ოდესმე?

– დედაჩემს არა, მაგრამ მამაჩემი კი მუშაობდა მამათქვენის მამულში მეჯინიბედ...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24